პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 277 (10671) | ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

მრეწველობა და ტრანსპორტი შეწყობილად უნდა მუშაობდნენ

გეგმიანი სახალხო მეურნეობის პირობებში მრეწველობისა და ტრანსპორტის, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარების ინტერესები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ტრანსპორტი ვერ იმუშავებს კარგად, ვერ გაართმევს თავს სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სხვადასხვა გვარეობის მიხედვით ტვირთზიდვას, თუ მრეწველობის მუშაკებმა არ უზრუნველყვეს სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულება, ხოლო ამას მრეწველობის მუშაკები ვერ შეძლებენ, თუ ტრანსპორტელებმა მათ შეუფერხებლად არ მიაწოდეს ნედლეული, დამზმარე მასალები, ტექნიკური აღჭურვილობა, არ გაუწიეს მომსახურება. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების ასეთი ურთიერთშეწყობილი მუშაობა საერთო აღმავლობის აუცილებელი წინაპირობაა.

წელს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან 1956 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში გასამარჯვებლად, მნიშვნელოვანი წარმატებები მიიპოვეს. ათობით ქარხნის, ფაბრიკის, სატრანსპორტო საწარმოს კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმები და ახლა პროდუქციას 1957 წლის ანგარიშში იძლევიან. ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა, რომლის გამართულ მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მესამე კვარტალში გზათა სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა. ვადამდე შეასრულეს საოქსე კონცენტრატის გამოშვების 1956 წლის გეგმა ტყიბულელმა გამამდიდრებლებმა, ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური დავალება — შაორჰესელმა ენერგეტიკოსებმა, საკიდი კონვეიერების გამოშვების დავალება — თბილისის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა და ა. შ.

მაგრამ ამასთან გვაქვს როგორც მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების, ისე რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა მოუქნელი მუშაობის მრავალი მაგალითი. ნოემბრის ორი დეკადის განმავლობაში ჭიათურაში მადნით დაუტვირთავი დარჩა ასობით ვაგონი იმის გამო, რომ მაღაროელები ჩამორჩნენ მადნის გამოღებაში. ამავე დროს იმის შედეგად, რომ რკინიგზელებმა ვერ შეძლეს ცარიელი ვაგონების დროულად მიწოდება, იმავე ორ დეკადაში ტყვარჩელის ქვანახშირით დაუტვირთავი დარჩა 253 ვაგონი, ფოთში ფქვილით დაუტვირთავი დარჩა 123 ვაგონი, თბილისის წისქვილ-კომბინატში — 36 ვაგონი და ა. შ.

ამიერკავკასიის რკინიგზას ჩვენი რესპუბლიკისათვის ტრანსპორტით მომსახურების გაწევაში დიდი ხვედრითი წონა აქვს. ტვირთზიდვის სამუშაოების ორგანიზაცია რკინიგზის იმ უბნებზე, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, სრულყოფილი არ არის. მაგალითად, ოქტომბერში ვაგონების ბრუნვის გეგმა, რაც ტვირთზიდვის მდგომარეობის მკაფიო მაჩვენებელია, არ შეუსრულებიათ თბილისის, სამტრედიის და სოხუმის განყოფილებებს. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის აკუმულატორების ქარხნის აკუმულატორების ქარხნის ააწყობები სავსეა მზა პროდუქციით, რკინიგზას კი ცარიელი ვაგონები არა აქვს, რომ ეს პროდუქცია სოფლის მეურნეობას მიაწოდოს, ამ ქარხნის კოლექტივს მუშაობა გაუადვილოს. ამასთან იქვე, რუსთავის ცემენტის ქარხანაში, სადაც ცემენტის ტრანსპორტირების საქმეს უუნაროდ ხელმძღვანელობენ, მარტო ოქტომბერში 20.858 ვაგონსაათი გაცდენეს. ეს უდრის 1.544 ვაგონის გაცდენას, რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა რუსთავიდან აზოტოვანი სასუქების დანიშნულებისამებრ გასაზიდავად.

რკინიგზის კლიენტურის მიერ ვაგონების გაცდენა სატვირთო ოპერაციების გაჭიანურებით დიდი სახელმწიფოებრივი დანაშაულია. ამიერკავკასიის რკინიგზაზე ამ დანაშაულს ურიგდებიან, კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ ვაგონების გაცდენისათვის კლიენტს ჯარიმას ახდევინებენ. საჭიროა კლიენტების მხრივ ასეთი ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკისადმი, სატვირთო ოპერაციების დაჩქარებაში უპასუხისმგებლობისადმი ლიბერალური დამოკიდებულების აღკვეთა. თბილხილბოსტანვაჭრობის მისამართით 5 ნოემბერს თბილისში მიიღეს და სათანადო ჩიხში ჩამოაყენეს კარტოფილით დატვირთული 58 ვაგონი. ამ სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ვ. კორძაია) ორი კვირის განმავლობაში ვერ მოახერხეს ვაგონების დაცლა, აუარებელი კარტოფილი გაუფუჭდათ ვაგონებში, რკინიგზის უწყებასაც საგრძნობი თანხა — 76.000 მანეთი უნდა გადაუხადონ ჯარიმად.

მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის შეწყობილი მუშაობის დასამკვიდრებლად დიდი როლის შესრულება ეკისრებათ სათანადო პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ცნობილია სამხრეთ-დასავლეთის სადგურ დუნაევცის რკინიგზელთა გამოცდილება მტვირთავთა ე. წ. კოოპერირებული ბრიგადების შექმნის შესახებ. ამ სადგურზე შექმნეს მტვირთავთა ბრიგადა, მას გადასცეს დატვირთვა-გადმოტვირთვის არსებული მექანიზმები და დაავალეს ვაგონების გაუცდენლად დატვირთვა-გადმოტვირთვაში მომსახურება გაეწიათ ყველა იმ 11 ორგანიზაციისათვის, რომლებიც ამ სადგურიდან იღებენ ტვირთებს. ასეთი კოოპერირებული ბრიგადის შექმნის შემდეგ დუნაევცელებმა აღკვეთეს ვაგონების მოცდენა. სავსებით შესაძლებელია ასეთი კოოპერირებული ბრიგადების ჩამოყალიბება ჩვენშიც, თუ ამ საქმის ორგანიზაციას რკინიგზელთა პროფკავშირული ორგანიზაციები მოჰკიდებენ ხელს.

სატვირთო ოპერაციების განუწყვეტელი წარმოების ძვირფასი გამოცდილება აქვთ ტყიბულშიც. ტყიბულქვანახშირის ტრესტის სატრანსპორტო განყოფილების მუშაკებმა (გამგე ვ. ობოლაძე) საუკეთესოდ მოაწყეს ქვანახშირის დატვირთვისა და ვაგონების განტვირთვის საქმე, მუშაობენ განუწყვეტლივ მთელი დღეღამის განმავლობაში და სავსებით აღკვეთეს მოძრავი შემადგენლობის გაცდენა.

მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა ყველა ღონისძიებით უზრუნველყონ ურთიერთშეწყობილი მუშაობა, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის პირობების შექმნა, რაც მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისა და 1957 წლის გადიდებულ დავალებათათვის მზადყოფნის საიმედო საწინდარია.

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის

27 ნოემბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების სხდომა. მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობას იღებენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილენი ა. ი. მიქოიანი და მ. ზ. საბუროვი. რუმინეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ: რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბირლედიანუ ალექსანდრუ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე მარინ გასტონი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი მენესკუ მანია, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი პოპესკუ მარჩელი.

მოლაპარაკებას დაესწრნენ რუმინეთის მხრივ: რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დალია მიხაი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ციეგერ სიმეონი. საბჭოთა კავშირის მხრივ: სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, მინისტრები ა. გ. ზვერევი, ი. გ. კაბანოვი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ა. ეპიშევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეების მოადგილენი კ. დ. ლევიჩკინი და მ. ა. ხარლამოვი.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში. განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. ექსპერტებს დაევალათ შეადგინონ საჭირო დოკუმენტები მხარეების წინადადებათა საფუძველზე დელეგაციების შემდგომ სხდომებზე განსახილველად.

მოლაპარაკება გაგრძელდება.

ყაზახეთის შორი პუნქტებიდან გამოზიდულია მესამედი მილიარდი ფუთი პური

ალმა-ატა. უმოკლეს ვადაში გამოიზიდოს მარცვლეული დროებითი საწყობებიდან — ამ ამოცანის შესასრულებლად შრომობს ყაზახეთის ათი ათასობით დამამზადებელი, შოფერი და რკინიგზელი. უგზოობისა და ნამქერების გამო გზები ძნელად სავალი გახდა. მაგრამ ამ პირობებშიც არ წყდება მარცვლეულის ავტომობილით მასობრივი ზიდვა. დროებითი შორეული პუნქტებიდან სასადგურო საწყობებში გადაზიდულია 350 მილიონი ფუთი მარცვლეული. ლიკვიდირებულია 1.200 შორეული პუნქტი — პურის მთელი დროებითი საწყობების თითქმის მესამედი.

მარცვლეულის მარშრუტები იგზავნებიან პურის ხანგრძლივი შენახვის ადგილებისაკენ. (საკდესი).

საბჭოთა ჰიდროციკლონი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. ნ. პლაკსინის ხელმძღვანელობით ქვანახშირის მრეწველობისათვის ამუშავებს წყალში ქვანახშირის გამდიდრების წესს, რისთვისაც გამოყენებულ იქნება დანადგარი — ჰიდროციკლონი, დამყარებული ცენტრიდანული ძალის გამოყენებაზე. ეს წესი გამოირჩევა სიმარტივით, მაღალი წარმადობით და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კოქსვადი ქვანახშირის ხარისხს. ასეთი პირველი დანადგარის სამრეწველო გამოცდა წარმოებს დნეპროძერჟინსკის კოქს-ქიმიური ქარხნის გამამდიდრებელ ფაბრიკაში.

სურათზე: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ი. ნ. პლაკსინი და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ი. კლასენი თვალს ადევნებენ ლაბორატორიული დანადგარის — „იგდ-80“ მარკის ჰიდროციკლონის მუშაობას.

ფოტო მ. რედკინისა და ლ. პორტერისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

კოლმეურნეობის თავმჯდომარე საკოლმეურნეო წარმოების ცენტრალური ფიგურაა

„სტავროპოლის მხარე. ვორონეჟის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტმა ანატოლი ვასილის-ძე სმოლიანინოვმა რამდენიმე წელიწადს იმუშავა ხეხილის სანერგის დირექტორად სტავროპოლის მხარის ნოვო-ალექსანდროვსკაია რაიონში. პარტიის მოწოდების პასუხად მან 1952 წელს სურვილი გამოთქვა ემუშავნა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და ამ თანამდებობაზე არჩეულ იქნა პეტროვსკოეს რაიონის მოლოტოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საერთო კრების მიერ.

იმ დროს კოლმეურნეობას ჰქონდა 11.200 ჰექტარი სახნავი მიწა, აქედან მეოთხედ ნაწილზე ნაკლები ეჭირა ხორბალს, სიმინდსა და მზესუმზირას. დანარჩენი ფართობი გამოყენებული იყო საძოვრებად და ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვისათვის. ფერმებში რაციონში უხეში საკვები სჭარბობდა. 1.300 შრომისუნარიანი კოლმეურნეიდან საზოგადოებრივ შრომაში სულ 300 კაცი მონაწილეობდა.

ა. ვ. სმოლიანინოვმა მუშაობა დაიწყო იმით, რომ ბრიგადები განამტკიცა ხელმძღვანელი კადრებით. ხუთივე ბრიგადის სათავეში დააყენა სპეციალური განათლებისა და ხელმძღვანელი მუშაობის გამოცდილებას მქონე აგრონომები ან ზოოტექნიკოსები. თავმჯდომარე და ბრიგადირები მკაცრად ადევნებდნენ თვალს დავალებულ სამუშაოთა შესრულებას. გარდა ამისა, მათ სერიოზული ყურადღება მიაქციეს კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებას. ჯერ კიდევ 1952 წლის შედეგების მიხედვით კოლმეურნეობის გამგეობამ შემოიღო სავალდებულო დამატებითი ანაზღაურება პროდუქციის წარმოების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ოთხი წლის განმავლობაში მწყემსებმა, მეღორეებმა, მწველავებმა, მეფრინველეებმა დამატებითი ანაზღაურების სახით მიიღეს 180 ათას მანეთზე მეტი, 200-ზდე გოჟი და 7,2 ტონა ღორის ხორცი, 543 ცენტნერი რძე, 17.600 კვერცხი. მემინდვრეობაში მომუშავე კოლმეურნეებს მოსავლიანობის გეგმის შესრულებისას დამატებით აძლევდნენ გეგმის გადამეტებით მიღებული მარცვლეულის მეოთხედ ნაწილს. ამ ღონისძიებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ 1955 წელს აღარ ყოფილა არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე გამოუსვლელობის შემთხვევები.

კოლმეურნეობის გამგეობამ ა. ვ. სმოლიანინოვის წინადადებით მტკიცე გეზი აიღო იქითკენ, რომ გაედიდებინა მარცვლეული- და ტექნიკური კულტურების ფართობი, აემაღლებინა ნიადაგის დამუშავების ხარისხი.

ახლა კოლმეურნეობაში საშემოდგომო ხორბალი დათესილია ერთიორად მეტი, ვიდრე 1952 წელს, 26-ჯერ გადიდდა სიმინდის და 6-ჯერ მზესუმზირას ნათესები, მკვეთრად გაიზარდა ყველა კულტურის მოსავლიანობა. წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 45,7 ათასი ცენტნერი მარცვლეული, მათ შორის 33 ათასი ცენტნერი ხორბალი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის წინადადებით სასოფლო-სამეურნეო არტელში განვითარდა მევენახეობა და მებაღეობა. ახლა კოლმეურნეობას აქვს 117 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი და 222 ჰექტარი ხეხილის ბაღი. წელს კოლმეურნეობის შემოსავალი ათნახევარ მილიონ მანეთს გადააჭარბებს, კოლმეურნეებს ყოველთვიურად შრომადღეზე ავანსად ეძლევათ ოთხ-ოთხი მანეთი, აგრეთვე მარცვლეული, სათბობი, საკვები პირადი პირუტყვისათვის და სხვა პროდუქტები.

სურათზე: მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ვ. სმოლიანინოვი (მარჯვნივ) ესაუბრება კომბაინერ გ. ბოიკოს.

ფოტო ვ. მიხალევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სრულიად საკავშირო თათბირი ბუნებრივი ქვის მასალით მშენებლობის საკითხებზე

სიმფეროპოლი. აქ დამთავრდა სრულიად საკავშირო თათბირი ბუნებრივი მთის ქანებისაგან საკედლე ქვის წარმოების საკითხებზე, რომელიც სსრ კავშირის სამშენებლო მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ მოიწვია. თათბირში მონაწილეობა მიიღო 450-მდე კაცმა, რომლებიც ჩამოვიდნენ იმ ქალაქებიდან და რაიონებიდან, სადაც ბუნებრივ საკედლე ქვას იღებენ.

თათბირზე განიხილეს ბუნებრივი ქვის მასალების საბადოების დამუშავების, ამოღების კომპლექსური მექანიზაციის, ქვის საჭრელი მანქანების კონსტრუქციის საკითხები.

საკედლე ბუნებრივი ქვა ყველაზე იაფი მასალაა. იგი 3-4-ჯერ უფრო იაფი ჯდება აგურზე. ამ წარმოების ორგანიზაციისათვის საჭიროა 2-3-ჯერ ნაკლები კაპიტალდაბანდება, ვიდრე სხვა საკედლე მასალების მოპოვების საწარმოთა მშენებლობისათვის. თათბირის მონაწილეებმა დასახეს სახერხი კირქვებისა და ნიკარაქვების მოპოვების კომპლექსური მექანიზაციის ყველაზე რაციონალური ხერხები. დიდი ყურადღება მიექცა მრეწველობის ამ დარგის შემდგომი განვითარების საკითხებს, რათა ხუთწლედის ბოლოსათვის პროდუქციის გამოშვება აყვანილ იქნეს 10-12 მილიონ კუბურ მეტრ დახერხილ ქვამდე. (საკდესი).

გამოიცა ბროშურა — ამხ. მ. ა. სუსლოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1956 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა ბროშურა — ამხ. მ. ა. სუსლოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1956 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავი“.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

გემთმშენებელთა საერთაშორისო კონფერენცია

ლენინგრადი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ლენინგრადში გაიხსნა საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენცია გემთმშენებლობის საკითხებზე. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციები.

კონფერენცია მოწყობილია საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის გემთმშენებელთა ინიციატივით საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის X სესიის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. კონფერენციის მიზანია ფართოდ გააცნოს მონაწილეებს იმ თევზსაჭერი და თევზის დამმუშავებელი გემების ტიპები და დახასიათება, რომლებიც ამჟამად შენდება, აგრეთვე კონფერენციის მონაწილე ქვეყნების თევზსაჭერი გემების განვითარებისა და გაუმჯობესების უახლოესი პერსპექტივები.

პირველ სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრის მოადგილის ი. მ. სემიონოვის მოხსენება სსრ კავშირის თევზსაჭერი ფლოტის განვითარების პერსპექტივებზე. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის გემთმშენებლობის ცენტრალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარმა კონსტრუქტორმა ვ. პილცმა გააკეთა მოხსენება პოლონეთის თევზსაჭერი ფლოტის მშენებლობის თანამედროვე მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კვების მრეწველობის მინისტრმა პ. ვესტფალმა გააკეთა მოხსენება თემაზე „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თევზსაჭერ და თევზის გადამმუშავებელ ფლოტში თანამედროვე ტექნიკური დონე, აგრეთვე პროგრესიული ტექნიკის შემოღების პერსპექტივები“.

მოხსენებებმა კონფერენციის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვიეს. უცხოელი სტუმრები აღნიშნავენ, რომ ასეთი შეხვედრები მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს სხვადასხვა ქვეყნის თევზსაჭერი ფლოტის შემდგომ გაუმჯობესებას.

ალბანელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

29 ნოემბერი ღირსშესანიშნავი თარიღია ალბანეთის ისტორიაში. 12 წლის წინათ ალბანეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის (ამჟამად შრომის პარტია) ხელმძღვანელობით, გამოიყენეს რა საბჭოთა არმიის მიერ გერმანიის ჯარების განადგურებით შექმნილი პირობები, გადამწყვეტი იერიში მიიტანეს ფაშიზმის წინააღმდეგ და მიაღწიეს ბრწყინვალე გამარჯვებას — განთავისუფლდნენ ფაშისტური უღლისაგან. დამთავრდა ბურჟუაზიულ-მემამულური ალბანეთის პერიოდი, დაიწყო ახალი ერა ალბანეთის ხალხის ისტორიაში.

12 წლის განმავლობაში ალბანელი ხალხის ცხოვრებაში საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების დახმარების შედეგად ღრმა რევოლუციური გარდაქმნები მოხდა. რესპუბლიკის მშრომელებმა მოკლე ვადაში მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ეკონომიკის აღმავლობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

აღდგენილ და გაფართოებულ იქნა იმპერიალისტთა ბატონობისა და ომის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობა. წარმატებით შესრულდა სახალხო მეურნეობის განვითარების ორწლიანი (1949-1950) და პირველი ხუთწლიანი (1951-1955) გეგმები. შეიქმნა ახალი მრეწველობა, რომელიც ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარ საფუძველს წარმოადგენს. აშენდა ორასზე მეტი ახალი საწარმო. ძველი, ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან ალბანეთი გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ.

1955 წლის ბოლოს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1938 წელთან შედარებით 10,5-ჯერ გადიდდა, მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია — 26-ჯერ, ქრომის მადნის დამუშავება — 17,4-ჯერ, ქვანახშირისა — 54-ჯერ, ელექტროენერგიისა — 10-ჯერ.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად გაიზარდა და განმტკიცდა ალბანეთის მუშათა კლასი, ამჟამად მუშების რიცხვი 4-ჯერ და უფრო მეტია 1945 წელთან შედარებით.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ალბანელმა მშრომელებმა სოფლის მეურნეობაში. 1955 წელს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1950 წელთან შედარებით გადიდდა 37 პროცენტით, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესი ფართობი გაიზარდა 13 პროცენტით. დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების საფუძველზე.

სახალხო ხელისუფლება ყველა ღონისძიებას ახორციელებს კოოპერაციულ მეურნეობათა განმტკიცებისათვის და დიდ დახმარებას უწევს მათ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში იღებენ გაცილებით უფრო მეტ მოსავალს, ვიდრე ერთპიროვნულ მეურნეობებში.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის საფუძველზე გადიდდა ნაციონალური შემოსავალი და გაუმჯობესდა მშრომელთა ცხოვრების პირობები. პირველი ხუთწლედის განმავლობაში ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 70 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი გაიზარდა 20 პროცენტით, ხოლო გლეხთა შემოსავალი გადიდდა დაახლოებით 35 პროცენტით. გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება კვების და ფართო მოხმარების საქონლით. სახელმწიფო დიდ ღონისძიებებს ახორციელებს მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის და სანატორიუმების კეთილმოწყობისათვის, ეწევა დიდ საბინაო მშენებლობას. მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ზრუნვა ალბანეთის შრომის პარტიისა და მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა.

ამჟამად ალბანელი ხალხის ღონისძიებები მიმართულია იმისაკენ, რომ განახორციელოს ალბანეთის შრომის პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებანი, შეასრულოს მეორე ხუთწლიანი გეგმის (1956-1960) პირველი წლის დავალებანი. მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ეკონომიკის, კულტურის და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა.

მეორე ხუთწლედის ბოლოს ნაციონალური შემოსავალი უნდა გადიდდეს 1955 წელთან შედარებით 53 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი — 25 პროცენტით, ხოლო გლეხთა შემოსავალი — 38 პროცენტით.

ალბანეთის შრომის პარტია და მთავრობა დიდ ბრძოლას ეწევიან უკულტურობის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, ანტიახალგადოებრივი ჩვევების წინააღმდეგ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში აფერხებდნენ მშრომელთა კულტურულ ზრდა-განვითარებას.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ სახელმწიფო ძალიერია მასების შეგნებით, ის ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, ყველაფერზე შეუძლიათ იმსჯელონ და ყველაფერს აკეთებენ შეგნებულად.

სახალხო-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების საფუძველზე კულტურა ხელმისაწვდომი გახადა მშრომელთა ფართო მასებისათვის. მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებამ კი ხელი შეუწყო მათს აქტივობას და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმას.

ალბანეთის შრომის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად დიდი წარმატებებია მოპოვებული რესპუბლიკის კულტურული მშენებლობისა და სახალხო განათლების საქმეში. თანდათან იხპობა მოზრდილ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობა. განხორციელებულია ბავშვების საყოველთაო სავალდებულო სწავლება. ძველ ალბანეთში სასწავლებლის კარები მშრომელთა შვილებისათვის დახურული იყო, ამჟამად კი მათ შექმნილი აქვთ ყველა პირობა სწავლისათვის. გაიზარდა სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბებისა და კინოთეატრების ქსელი.

დიდი წარმატებებია მოპოვებული უმაღლესი განათლების დარგში. დიდი პროგრესი იგრძნობა გამომცემლობის საქმეში. ამჟამად გაზეთების გამოცემა გადიდდა 5-ჯერ და წიგნების ტირაჟი 7-ჯერ 1938 წელთან შედარებით.

სახალხო ხელისუფლება დაუცხრომლად ზრუნავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის, გაუმჯობესდა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.

სოციალიზმის მშენებლობაში ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მეგზურები განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მხარდაჭერასა და უანგარო დახმარებასთან.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მხარდაჭერისა და ინიციატივის მეოხებით გასული წლის დეკემბერში ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

ალბანელი ხალხი ერთსულოვნად იწონებს თავისი პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ალბანეთის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარება, ალბანელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუხრელი გაუმჯობესება და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება.

რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად არიან დარაზმულნი ალბანეთის შრომის პარტიის გარშემო. ისინი მიდიან პარტიის ხელმძღვანელობით წინ სახალხო დემოკრატიული წყობილების განმტკიცების გზით.

ეროვნული დღესასწაულის დღეს საბჭოთა ადამიანები სულით და გულით უსურვებენ მომძლე ალბანელ ხალხს შემდგომ წარმატებებს ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში.

ბ. ჩიბურდანიძე.

* * *

სურათზე: ქალაქი ტირანა — ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი.

ფოტო ვ. შაროვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

არ დავუშვათ ზამთარში წვეულადობის შემცირება. განუწყვეტლივ ვზარდოთ სარძეო მეცხოველეობის პროდუქტიულობა!

★ ★ ★

მივბაძოთ მოწინავეებს

რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც ნოემბრის პირველ ნახევარში მცხეთაში მოეწყო, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ისეთი მაღალი მაჩვენებლებით, როგორსაც სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობამ მიაღწია, არავინ წამდგარა.

წილკნელმა კოლმეურნეებმა წარმატებით დაამთავრეს 1955-56 სამეურნეო წელი მეცხოველეობაში. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველეს 2.626 კილოგრამი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.080 კილოგრამისა, ანუ 907 კილოგრამით მეტი ვიდრე წინა წელს.

მაგრამ ასე როდი ითქმის წილკნის მეზობელ — ნატახტარისა და ძალისის კოლმეურნეობებზე. მართალია, წვეულადობის გეგმები გასულ სამეურნეო წელს ამ კოლმეურნეობებშიც შესრულეს, მაგრამ წილკნელებს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ნატახტარელ კოლმეურნეებთან შედარებით მოწველილი აქვთ 2,5-ჯერ და ძალისელებთან — თითქმის 3-ჯერ მეტი.

ამ კოლმეურნეობებში მეტად განსხვავებულად დაიწყო მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წელი. ოქტომბერში, წილკანში თუ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 131 კილოგრამი რძე, ნატახტარში კი მხოლოდ 36,3 კილოგრამი, ძალისში — 36 კილოგრამი რძე. ეს მაშინ, როცა გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდში ნატახტარში ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებული იყო 61 კილოგრამი რძე, ხოლო ძალისში — 40 კილოგრამი.

წილკნელი მეცხოველეები წარმატებას იმით აღწევენ, რომ ფერმაში სწორად აქვთ მოწყობილი შრომა. ამასთან, რაც მთავარია, აქ პირუტყვს კვებავენ კარგად, მრავალფეროვანი საკვებით, საკვებ ულუფაში დიდი ხვედრითი წონა აქვს სიმინდს. ნატახტარში და ძალისში კი იმ იმედით, რომ წვეულადობის გეგმას ხომ მაინც შეასრულებთო, ძროხებს არ კვებავენ წესიერად.

სოფელ ნატახტრის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგემ ი. სიდამონიძემ საუბარში განაცხადა: — თვითეული ძროხისათვის ულუფა არა გვაქვს შედგენილი, ისე კი მიწველ ძროხებს უფრო მეტ საკვებს ვაძლევთ, ვიდრე „მშრალებსო“.

აქ ძროხებს ჯერ მხოლოდ ნამჯასა და ჩალას აძლევენ, ხანდახან — ჭარხალს. საკვებად სიმინდს არ იყენებენ, ეს იმ დროს, როცა კოლმეურნეობაში წელს 22 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 36 ცენტნერი სიმინდი.

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებს წვეულადობის გადიდების გამოუყენებელი დიდი რეზერვები აქვთ. საჭიროა ჩამორჩენილმა კოლმეურნეობებმა მიბაძონ მოწინავეებს და მათი მაგალითისამებრ უზრუნველყონ წვეულადობის განტხრელი ზრდა.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

უდარდელობის შედეგი

წყალტუბოს რაიონმა გასულ სამეურნეო წელს წვეულადობის წლიური დავალება 107,6 პროცენტით შეასრულა. მოსალოდნელი იყო, რომ ახალ სამეურნეო წელს აქაური მეცხოველეები უფრო მეტი მონდომებით იმუშავებდნენ და თავიდანვე ენერგიულად შეუდგებოდნენ ბრძოლას სარძეო მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

აქ შეაჯამეს ახალი სამეურნეო წლის პირველი თვის — ოქტომბრის შედეგები და საგანგებო სურათი აღმოჩნდა. რაიონის მეცხოველეობის ფერმებმა ოქტომბერში მიიღეს 61.502 ლიტრი რძე ნაცვლად გასული სამეურნეო წლის ოქტომბერში მიღებული 82.651 ლიტრისა. წყალტუბოელებს ყველა პირობა ჰქონდათ გაედიდებინათ წვეულადობა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს დააკლეს 21.149 ლიტრი რძე.

მიმდინარე წლის ოქტომბერში რაიონში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 32 ლიტრი რძე ნაცვლად გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდში მიღებული 48 ლიტრისა.

რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა. სოფელ წყალტუბოს კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. კინწურაშვილი) მიმდინარე წლის ოქტომბერში 5.677 ლიტრით ნაკლები რძე მოწველეს გასული წლის ოქტომბერთან შედარებით. თუ შარშან აქ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 52 ლიტრი რძე, წელს ოქტომბერში მიიღეს მხოლოდ 18 ლიტრი. ეს იმის შედეგია, რომ კარგად ვერ მოემზადნენ პირუტყვის ბაგურ კვებაზე შესანახავად და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სწორ კვებას.

ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა სოფელ მუხიანის მიქოიანის სახელობის და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში. მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში ახალი სამეურნეო წლის ოქტომბერში თვითეულ ძროხაზე მიიღეს 19 ლიტრი რძე, შარშან 28 ლიტრი, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში კი — 25 ნაცვლად 43 ლიტრისა. ეს იმის შედეგია, რომ ამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ე. ბაბუნაშვილი და ვ. მამისეიშვილი უდარდელობას იჩენენ რძის წარმოების გადიდებაში და არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს წვეულადობის გასაადიდებლად.

სოფელ ფარცხანაყანევის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. თევდორაძე შეურიგდა იმ მდგომარეობას, რომ ნაცვლად გასულ სამეურნეო წელს ოქტომბერში მიღებული 22 ლიტრისა, ახალი სამეურნეო წლის ოქტომბერში მხოლოდ 12 ლიტრი რძე მიიღო ერთ საფურაჟე ძროხაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში საკვების დაგროვების მხრივაც ვერ არის კარგი მდგომარეობა. თივა დამზადებულია 1.152 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.700 ტონისა. კოლმეურნეობებს სიმინდის ჩალაც უმნიშვნელო რაოდენობით აქვთ.

ზოგან მზად არ არიან ზამთრისათვის. მუხიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში პირუტყვის სადგომის მშენებლობა, რაც ორი წლის წინათ დაიწყო, ჯერაც არ არის დამთავრებული, სოფელ ცხუნკურის შვერნიკის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის, წყალტუბოს ბულგანინის სახელობის და ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში საგომების მშენებლობა ჭიანურდება.

საჭიროა პარტიის წყალტუბოს რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სათანადო დასკვნები გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან, უზრუნველყონ ჩამორჩენის სწრაფად დაძლევა და წვეულადობის გადიდება ზამთარში.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თვითდამშვიდება საქმის საზიანოა

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). ახალ სამეურნეო წელს დიდი ამოცანებია დასახული სარძეო მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. მთავარია ის, რომ განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებანი და არ შევამციროთ წვეულადობა ზამთარში.

მეცხოველეობაში გასულ სამეურნეო წელს გურჯაანის რაიონში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 1.090 ლიტრი რძე, გეგმის დავალებას 229 ლიტრით გადააჭარბეს. ეს კარგი საქმეა. სამწუხაროდ, ზოგან თვითდამშვიდებას მიეცნენ, შეანელეს ყურადღება პირუტყვის მოვლისა და კვებისადმი, რის გამო წვეულადობამ იკლო. მაგალითად, ახალი სამეურნეო წლის ოქტომბერში რაიონში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 58 ლიტრი რძე ანუ 17 ლიტრით ნაკლები გასულ სამეურნეო წელთან შედარებით.

სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დროულად არ მიიღეს ზომები წვეულადობის გასადიდებლად, პირუტყვი კარგად არ გამოკვებეს. ამის შედეგად აქ ოქტომბერში მნიშვნელოვნად იკლო წვეულადობამ გასული სამეურნეო წლის შესაბამის თვესთან შედარებით. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ვაზისუბნის და ქანდრის კოლმეურნეობებში.

აღნიშნულ კოლმეურნეობებს საკვები საკმაოდ აქვთ. საქმე ის არის, რომ რაიონის უმეტეს კოლმეურნეობებში თვითკმაყოფილებას მიეცნენ და მხედველობიდან გამორჩათ წვეულადობის საქმე.

გურჯაანელ კოლმეურნეებს ჩამორჩენა არ ეპატიებათ. გასულ სამეურნეო წელს მათ კარგი გამოცდილება შეიძინეს სარძეო მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

გურჯაანელ მეცხოველეებს ყველა საშუალება აქვთ მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას წვეულადობაში. საჭიროა მხოლოდ მონდომება, პირუტყვის მოვლისა და კვების გაუმჯობესება, დაკისრებული მოვალეობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება.

ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა სერიოზული ამოცანები დასახა მეგვინახეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ჩვენი მეგვინახეების სახელისა და ღირსების საქმეა.

ამიტომ მევენახეობის დარგში დაკალებათა შესრულებისათვის ბრძოლას ამთავითვე უნდა შეეუდგეთ. ეს გაითვალისწინეს ყვარლის რაიონის ენისლის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა და ამ დღეებში მოიწვიეს მოწინავე მევენახეთა თათბირი, ვენახების საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების მიმდინარეობისა და ახალი ვენახების გაშენების შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის ყვარლის რაიკომის მდივანმა ენისლის მტს-ის ზონაში ამხ. ს. ამირანაშვილმა.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს პროფესორ ქანთარიას, დოცენტ ჩუბინიძის რჩევა-დარიგება ვაზის მოვლა-დამუშავებისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებზე. მათ განსაკუთრებით გააძახვილეს ყურადღება შრომის ორგანიზაციის მოწყობაზე, მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენებაზე, ვაზის გასხვლის წესებზე და სხვ.

* * *

სურათზე: პროფესორი ქანთარია ეხაუბრება სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახეებს ვაზის მოვლა-დამუშავებისა და გასხვლის წესებზე.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

რაციონალიზაციორების თათბირი

ამიერკავკასიის რკინიგზაზე მომუშავე გამომგონებლების, რაციონალიზატორებისა და ნოვატორების საგზაო თათბირზე, რომელიც 23 ნოემბერს შედგა, გამოირკვა, რომ მარტო წელს რკინიგზელ რაციონალიზატორთა რიგებს 700-მდე ახალი ადამიანი შეემატა. მათ მიერ შემოტანილი რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით განვლილ სამ კვარტალში რკინიგზის მეურნეობამ 2.600.000 მანეთი ეკონომია მიიღო. მაგრამ არიან ისეთი უბნები, საწარმოები და სამეურნეო ერთეულები, სადაც რაციონალიზატორული მუშაობა თავმინებებულია. მაგალითად, წელს სადგურ ფოთის, სამტრედიის და მთელ რიგ სხვა სატრანსპორტო საწარმოებიდან არც ერთი რაციონალიზატორული წინადადება არ არის მიღებული.

თათბირმა მოწოდებით მიმართა რკინიგზის საწარმოების სამეურნეო, პარტიულ და პროფკავშირულ მუშაკებს გააძლიერონ მუშაობა ტექნიკურ საიხლეთა დასანერგავად, ყველა რკინიგზელი ჩაებან ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში.

თბილისის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის მოსამზადებელი საამქროს მოწინავე მეფთილე რაისა ბეკაშვილი, რომელიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 120-125 პროცენტით ასრულებს და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სოფლის ბიბლიოთეკასა და კლუბში

წულუკიძის რაიონში 12 სასოფლო კლუბი, 4 სამკითხველო და 9 ბიბლიოთეკაა. კუხის სასოფლო კლუბის ბიბლიოთეკა რაიონის სხვა ბიბლიოთეკებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა. აქ ხშირად ეწყობა ლექციათ-მოხსენებები, საუბრები, ხმამაღლა კითხვა, კითხვა-პასუხის საღამოები, მკითხველთა კონფერენციები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი.

სასოფლო ბიბლიოთეკას მდიდარი მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა აქვს. წიგნების რაოდენობა 4 ათასს აღემატება. აქ არის ჟურნალ-გაზეთები და ჰიპოლარული ბროშურები. ბიბლიოთეკა ლამაზად არის გაფორმებული პლაკატებით, ლოზუნგებით. მოწყობილია პარტიის XX ყრილობის მასალების, მხატვრული, მეთოდური, სასოფლო-სამეურნეო, პოპულარული ლიტერატურის და სხვა გამოფენები.

ბიბლიოთეკაში ყოველთვის ბევრი მკითხველია. საღამოობით აქ თავს იყრიან კოლმეურნეები, მოსწავლეები, ინტელიგენტები, გაცხოველებით საუბრობენ სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე.

სასოფლო კლუბთან ჩამოყალიბებულია დრამატული, ლიტერატურული, აგრონომიული და სხვა წრეები. აგრონომიულ წრეში 16 კოლმეურნეა. წრის წევრები საკოლმეურნეო მინდვრებში ხშირად აწყობენ საუბრებს გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. წრეში წაკითხული მოხსენებები — „სასუქები და მათი გამოყენება ჩაის პლანტაციებში“, „ჩაის კრეფის წესები და მათი ორგანიზაცია“, „ვენახის აგროტექნიკა“, „სიმინდის თესვის აგროტექნიკა“, „ნიადაგის ღრმად მოხვნა მოსავლის გადიდების კარგი საშუალებაა“, „ჩაის კულტურის სახალხო-სამეურნეო ფაბრიკების და ჩაის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები“ დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო საშუაოების წარმატებით შესრულებაში.

ნაყოფიერად მუშაობს სასოფლო კლუბთან არსებული დრამატული წრე, რომელმაც მოამზადა და მაყურებელს უჩვენა ა. წერეთლის „გამზრდელი“, ი. ჭავჭავაძის „ქართლის დედა“, სხვადასხვა სკეტჩები.

სასოფლო კლუბთან ჩამოყალიბებულია მომღერალთა გუნდი, რომელიც სწავლობს რეგორც ხალხური სიმღერებს, ისე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

სასოფლო კლუბთან არსებობს აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელიც კულტურულ მომსახურებას უწევს სოფლის მშრომელებს. აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კოლმეურნეებს უჩვენა პიესა „შრომა და სიყვარული“.

კოლმეურნეებისათვის იმართება კონცერტები, ეწყობა საუბრები, ლექციათ-მოხსენებები, ხმამაღლა კითხვა, გამოდის საველე ფურცელი, რომელშიც ფართოდ შუქდება საკოლმეურნეო ბრიგადებისა და კოლმეურნეების მიღწევები და ნაკლოვანებები.

მინდვრად მომუშავე კოლმეურნეთა მომსახურებისათვის გახსნილია მოძრავი ბიბლიოთეკა და წითელი კუთხეები, რომლებიც კულტურულ მომსახურებას უწევენ სოფლის მშრომელებს ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში. მოძრავი ბიბლიოთეკა მომარაგებულია საჭირო ჟურნალ-გაზეთებითა და ლიტერატურით.

კუხის სასოფლო კლუბთან კარგად მუშაობს ლექტორთა ჯგუფი, რომელსაც სამუალო სკოლის დირექტორი გ. კალმახელიძე ხელმძღვანელობს. ლექტორიუმში გაერთიანებულია სოფლის ინტელიგენციის აქტივი — მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები და სხვ. ლექციები იკითხება პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საინტერესო თემებზე. წაკითხულ იქნა ლექციები — „სიმინდი, როგორც უძვირფასესი კულტურა“, „ჩაის კულტურის მაღალი აგროტექნიკა“, „მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები“, „მარცვლეული მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია“, „მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანები“, „მეაბრეშუმეობა საქართველოში“ და სხვ.

ლექტორთა ჯგუფს 30-ზე მეტი ლექცია და მოხსენება აქვს წაკითხული როგორც სასოფლო კლუბში, ისე მინდერად, ჩაის პლანტაციებში, საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში. ლექტორთა ჯგუფის წევრების — ი. კაკაბაძის, ნ. წიქვაძის, ნ. შავლიყაძის, მ. გორდაძის და სხვების საუბრებსა და მოხსენებებს კოლმეურნეები ხალისით ეს წრებიან.

სასოფლო კლუბთან არსებული კედლის გაზეთი „კულტურის კერა“ საკოლმეურნეო ცხოვრების აქტიური მონაწილეა, დაუფლებულ ემსახურება კოლმეურნეობის ინტერესებს და იბრძვის სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო კლუბს ჯერ კიდევ არა აქვს საგაზეთო ვიტრინა, რაც მკითხველთა სამართლიან საყვედურს იწვევს. საჭიროა აგრეთვე გაუმჯობესდეს რადიო და კინომომსახურება.

ტ. ვაჭარაძე.

პარტიულ თემაზე

კოლექტიურობა პარტიულ მუშაობაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაგვისახა მტკიცედ დავიცვათ კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპები, შემდგომ განვავითაროთ შინაპარტიული დემოკრატია, რომელიც უხეშად ირღვეოდა პიროვნების კულტის პირობებში. ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპების დარღვევა ხელს უშლიდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, კადრების ბოლშევიკური სულისკვეთებით აღზრდას, აიუსტებდა მათს პასუხისმგებლობას პარტიისა და ხალხის წინაშე.

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპები დიდხანს უხეშად ირღვეოდა თიანეთის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში. წლების განმავლობაში რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში ინერგებოდა ადმინისტრირების მეთოდი, ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული სტილი. ყოველივე ეს მუშაკებში ახშობდა აქტივობისა და ინიციატივის უნარს, აკნინებდა მათს როლს სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის ყოველ უბანზე. ყველა ძირითადი საკითხი წყდებოდა არა კოლექტიური აზრის საფუძველზე, არამედ ერთპიროვნულად. მუშაობის არასწორი სტილი ბევრ გაუგებრობას, შეჯდომებს და სერიოზულ დარღვევებს იწვევდა, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა რაიონის ეკონომიკაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, განსაკუთრებით პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდეგ თიანეთის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენის, ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული სტილის აღმოფხვრის საქმეში. პარტიული ორგანიზაციები ახლა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მტკიცედ იქნას დაცული კოლექტიურობა მუშაობაში, ვინაიდან კოლექტიურობა ყველაზე უტყუარი პირობაა იმისათვის, რომ მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებანი, თავიდან ავიცილოთ შეცდომები, საქმიანადმი ცალმხრივი მიდგომა.

პარტიულ მუშაობაში კოლექტიურობის დაცვის მსგალითს უნდა იძლეოდეს პარტიის რაიკომის ბიურო. პირველადი პარტიული ორგანიზაციები რაიონში მისგან უნდა სწავლობდნენ კოლექტიურ ხელმძღვანელობას. ამიტომ მთელი ყურადღება ახლა მიმართულია იქითკენ, რომ რაიკომის ბიუროს მუშაობაში მტკიცედ დავიცვათ კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპები. რაიკომის ბიუროს სხდომებს ვმართავთ თვეში სამჯერ. საკითხების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ არა მარტო ბიუროს წევრები, არამედ რაიკომის განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები და სხდომაზე მოწვეული სხვა ამხანაგები. საქმიანი მსჯელობის შემდეგ ყოველ განხილულ საკითხზე ბიურო იღებს სათანადო დადგენილებას, ამა თუ იმ მუშაკს ავალებს მისი შესრულებისადმი ყოველდღიურ კონტროლს და შედეგების ბიუროსათვის მოხსენებას. საკითხების განხილვისას ვცდილობთ რაც შეიძლება ფართოდ იყოს გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ყოველ ამხანაგს საშუალება ეძლევა საკუთარი აზრი გამოთქვას თავისუფლად, რაიმე ზეგავლენის მოუხდენლად.

ამას წინათ რაიკომის ბიუროს სხდომაზე მოვისმინეთ და განვიხილეთ სიონმშენის პარტბიუროს მდივნის ე. გუგუშვილის ანგარიში. ამ საკითხის მომზადებაში რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების მუშაკებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სიონმშენის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებმაც. დადგენილების პროექტში, რომელიც რაიკომის ბიუროს სხდომაზე იქნა წამოდგენილი, აღნიშნული იყო, რომ მშენებლობის პარტიულ ორგანიზაციაში სუსტად არის დაყენებული პროპაგანდისტული მუშაობა, კერძოდ სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლა. შეეხო რა ამ საკითხს, პარტბიუროს მდივანმა ე. გუგუშვილმა რაიკომის ბიუროს სხდომაზე განაცხადა:

— არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მშენებლობაზე პროპაგანდისტული მუშაობა ჩამორჩება, მაგრამ ეს მარტო ჩვენი დანაშაული როდია. ამაში ბრალი მიუძღვით რაიკომის ბიუროს წევრებსაც, რომლებიც ნაკლებად გვეხმარებიან იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებაში.

რაიკომის ბიუროს წევრებმა გაითვალისწინეს ეს კრიტიკა და დადგენილებაში შეიტანეს მუხლი, რომელიც მათ ავალებს სისტემატურად გამოვიდნენ მოხსენებებითა და ლექციებით სიონის წყალსაცავის მშენებელთა წინაშე, კონკრეტულად დაეხმარონ პარტორგანიზაციას პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში.

სკკპ წესდების შესაბამისად, რაიკომის ბიურო ნიშნავს რაიონული კომიტეტის პლენუმებისა და პარტიული აქტივის კრებების მოწვევის დროს, განსაზღვრავს განსახილველ საკითხებს და მათი მაღალ დონეზე მომზადებისა და ჩატარების მიზნით მუშაობაში აბამს ფართო აქტივს. ეს საშუალებას გვაძლევს პლენუმზე თუ აქტივის კრებაზე საკითხები განვიხილოთ ყოველმხრივ და მათ გარშემო მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებანი.

მაგრამ კოლექტიურობა ამავე დროს გულისხმობს თვითეული კომუნისტის პირად პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. რაიკომის ბიურო ცდილობს, რომ ყოველი მისი წევრი დაკისრებული მოვალეობისათვის პასუხისმგებლობის მაგალითს აძლევდეს სხვებს.

ჩვენს მუშაობაში კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების აღდგენამ უფრო მკაფიო, მჩქეფარე და სისხლსავსე გახადა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება, გააძლიერა მათი ინიციატივა პოლიტიკური და სამეურნეო საკითხების გადაჭრაში. ახლა რაიონში ცოტა როდია ისეთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, სადაც ჯეროვან სიმაღლეზეა დაყენებული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა. მომზადებულად ეწყობა პარტიული კრებები და ბიუროს სხდომები, საკითხების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტები, ამაღლდა თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის. ამ მხრივ კარგ მაგალითებს გვიჩვენებენ ზარიძეების, ბალებისხევის, არტნის საკოლმეურნეო, თიანეთის საშუალო სკოლისა და სხვა პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

პარტიულ მუშაობაში კოლექტიურობის განმტკიცებამ, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის წარმატებით ბრძოლამ საშუალება მოგვცა ერთგვარად დაგვეძლია მაღალმთიანი რაიონის ეკონომიური ჩამორჩენილობა, რომელიც გამოწვეული იყო პარტიისა და ხალხის საშიში მტრის ბერიას და მისი დამქაშების საქართველოში დიდი ხნის პარპაშით. ბერია და მისი თანამზრახველები წლების განმავლობაში ახორციელებდნენ არსებითად ანტისაკოლმეურნეო პოლიტიკას კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების საზიანოდ, ყოველი ღონისძიებით აქეზებდნენ კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, რის შედეგად საქართველოს ზოგიერთი რაიონი პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაშინ როცა სხვა, კერძოდ მთიანი და საზღვრისპირა რაიონები აღმოჩნდნენ მეტად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში, რაც დღემდე არ არის დაძლეული.

პარტიის მიერ ბერიევშჩინის შედეგების აღმოსაფხვრელად განხორციელებულ ღონისძიებათა საფუძველზე თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმა პირველად მხოლოდ შარშან შეძლეს წვეულადობის გეგმების შესრულება, წელს ამ მხრივ კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებია მიღწეული. პირველი ოქტომბრისათვის წვეულადობის წლიური გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არის შესრულებული.

თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული მეცხვარეობის განვითარებაში. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რაიონის კოლმეურნეობებმა დიდი რაოდენობით მიიღეს და გაზარდეს ნახევრადნაზმატყლიანი და ნაზმატყლიანი ცხვრის თაობა. საშუალოდ ერთ სულ ცხვარზე წელს მიღებულია 3,6 კილოგრამი მატყლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,7 კილოგრამისა.

მიუხედავად ამისა, თიანეთის რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი. ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი კვლავ მიმართავს ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიულ სტილს, ეწევა უხეშ ადმინისტრირებას, ანგარიშს არ უწევს კოლექტივის აზრს. ამ მხრივ დამახასიათებელია მტს-ის დირექტორის, რაიკომის ბიუროს წევრის ნ. სარჯველაძის მოქმედება. მიუხედავად მრავალი შენიშვნისა და მითითებისა, იგი ხშირად უხეშობდა, მომართავდა შიშველ ადმინისტრირებას, ანგარიშს არ უწევდა კოლექტივის აზრს, არ იღებდა სამართლიან კრიტიკას. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ მტს-მა რაიონის კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა ვერ გარდაქმნა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. მტს-ის მუშაობაში სერიოზული ხარვეზებია, რაც კოლმეურნეობათა ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას ახდენს. მტს-ის მხრივ კოლმეურნეობებისადმი სუსტი ხელმძღვანელობის შედეგია ის, რომ მარცვლეულის მეურნეობის განვითარების საქმეში დღემდე შეუწყნარებელი ჩამორჩენაა. ამჟამად ამხ. ნ. სარჯველაძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომისა და პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობაში. მათი მუშაკები ღრმად ვერ სწვდებიან სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული მუშაობის საკითხებს, სუსტად იბრძვიან არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. ორხევის და ბოჭორმის საკოლმეურნეო, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატისა და მთელ რიგ სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დაბალ დონეზეა პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა. იშვიათად ეწყობა პარტიული კრებები და პარტბიუროს სხდომები, ნაკლები ყურადღება ექცევა მათი მომზადების დონეს. კრებებსა და პარტბიუროს სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში ფართო პარტიული აქტივი არ მონაწილეობს, კომუნისტების ერთი ნაწილი ჩაბმული არ არის საკოლმეურნეო წარმოებაში, გაურბის საზოგადოებრივ შრომას.

ამ ნაკლოვანებების უმოკლეს ვადაში დაძლევისათვის აუცილებელია პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების ურყევად დაცვა.

დ. გონჯილაშვილი,
საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის პირველი მდივანი.

ფურცელმგლინავებთან

ავტომატის უჩინარი ხელით ღუმელის ჭრილიდან ჩამოცურებული, გაკარკარებული ფოლადის სწორკუთხედი ნამზადი მბრუნავ როლგანგებს მორჩილად მიაქვთ ფურცელსაგლინავი დგანისაკენ.

ლილვებს შორის მომწყვდეული ლითონი ყრუ გუგუნით უსხლტება დგამს. ქვედა და შუა დგანს შორის გავლილი ოდნავ დაგრძელებული ნაჭიდი მარყუჟი მაგიდის დახმარებით ახლა ზედა და შუა ლილვებს შორის ეცლება და ოპერაციის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ როლგანგებზე ფარდაგივით იფინება ფოლადის გრძელი ფურცელი.

უფროსი მვალცავი დავით ბატიაშვილი სიამაყით გასცქერის თავისი ბრიგადის ნახელავს. გაკარკარებული ლითონის ზედაპირიდან ჰაერში ავარდნილი ოხშივარის ფონზე ტალღისებურად ირხევიან დანადგარები, მგლინავთა მოფუსფუსე სილუეტები, ადამიანთა ნაცნობი სახეები,

ლითონთან და ცეცხლთან შეჭიდების ამ სასიხარულო წუთებში მას ეუფლებიან ფიქრები, მოგონებანი არც თუ ისე შორეული წარსულიდან...

კახეთი... მშობლიური სოფელი არბოშიკი... პატარა დათო გახურებულ თონესთან მივიდა და დედას აუხარდა: გინდა თუ არა ცოტა ცომი მომეცი, ერთი პატარა ლავაში ჩემი ხელით ჩავაკარო. გაჭირვეულებულს თხოვნა შეუსრულეს და... ნეტა არ შეესრულებინათ! მოუხერხებლად მოჭნეული გუნდა თონის კიდეს ასცდა და ნაღვერდლში ჩავარდა.

— ეგეც შენ, დათო, ლავაშის დაკერა გინდოდა და კუტი შეგრჩა ხელში, — უთხრეს ბავშვს. ამ სიტყვებში მან დაინახა იგრძნო, თვალები აუცრემლდა.

რას მოიფიქრებდნენ იმ დროს უფროსები, რომ პატარა დათო ორი ათეული წლის შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველთაგანი წარმატებით დამშადებდა არა ჩვეულებრივს, ორმაგად ვეებერთელა, ტონიან ლავაშს, მხოლოდ... ლითონისას. ეს იყო ფურცელგავანი ფოლადი.

ზრომისადმი სიყვარული დავით ბატიაშვილს თავიდანვე ჩვეულად გადაექცა. სამ წელიწადს კომლეურნეობაში წწყემსად მუშაობდა. შემდეგ სტატისტიკურ-ეკონომიური ტექნიკუმი დამთავრა, მაგრამ კანცელარიულ მუშაობას გული ვერ დაუდო და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას მიაშურა. ერთხანს მილსაგლინავ საამქროში დგან 400-ზე მვალცავად მუშაობდა. შემდეგ ახალგაზრდობის ჯგუფთან ერთად სტალინში გაემგზავრა, რუსი და უკრაინელი ოსტატების დახმარებით სრულყოფილად დაეუფლა ფურცელსაგლინავი დგანის მართვას და რუსთავში დაბრუნებულს უკვე დგან 2.100-ზე უფროსი მვალცავობა მიანდეს.

უფროსი მვალცავი კი, როგორც მეტალურგები იტყვიან, მგლინავთა თვალი და ყურია. მის უნარზეა ძირითადად დამოკიდებული მვალცავებისა და ოპერატორების მთელი წარმატება. ლილვების გამაცივებელი წყლის შხეფლსა და დგანის შეუწყვეტელ გუგუნში ადამიანის ხმა უკვალოდ იკარგება. უფროსი მვალცავი ხელის მოძრაობით, პირობითი ნიშნებით ატყობინებს ბრიგადის მგლინავებს, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა წარმართონ გლინვის რთული ოპერაცია.

თავის გამოცდილებას და ცოდნას დავითი ხალისით უზიარებს სხვებს. მან უკვე რამდენიმე მვალცავი აღზარდა. მისი ყოფილი მოწაფეები რევაზ კაშია, ვლადიმერ იჩქიტიძე და მიხეილ ბაკურაძე ახლა უკვე გამოცდილი ფურცელმგლინავები არიან.

უფროსი ოპერატორი ალექსანდრე კახეთელაძე, მემანიპულატორე შოთა კუპრაშვილი, უფროსი მვალცავი შოთა კვანტალიანი, მვალცავი შალვა კვეზერელი, გამხურებელი ალექსანდრე ხანიაშვილი, უფროსი ფურცელმჭრელი დავით კობერიძე — აი ფურცელსაგლინავი საამქროს ერთ-ერთი ცვლის სახელოვანი ადამიანები, რომლებსაც ახალგაზრდა ინჟინერი თამაზ ტუღუში ხელმძღვანელობს.

— დასაწყისში ფოლადის თვითეული ფურცლის გაგლინვას 3-4 წუთს ვუნდებოდით, — ამბობს თამაზი, — ამჟამად კი ფურცელს ერთ-ერთნახევარ წუთში ვგლინავთ. ეს ეფექტის შედეგია, რომ მივაღწიეთ დგანის კომპლექტის შეუფერხებელ მუშაობას, გავაორმაგეთ ლილვების დაწნეხვის ძალა. ახლა ლითონს 10-ის ნაცვლად 20 მილიმეტრის სისქით ვწნეხავთ. პირველივე გატარებისას სწორკუთხედი ფორმის ნამზადს, ეგრეთწოდებულ „სლიაბს“ სწორად მაწოდების მაგვარად ლილვებს ირიბად, დიაგონალით ვაწოდებთ. ამას ის მოჰყვა, რომ დამეკი ხრახნის დამცველი ჭიქები, რომლებიც ხშირად იმსხვრეოდა, ახლა წყობილებიდან აღარ გამოდის. თუ ადრე თვითეულ სლიაბს ლილვებში საშუალოდ 20-ჯერ ვატარებდით, ახლა მხოლოდ 12-13-ჯერ ვატარებთ. გლინვის ამ პროგრესული მეთოდისა და ხერხების შემუშავებაში ბევრად დაგვეხმარა გამოცდილი ტაგანროგელი ფურცელმგლინავი უფროსი ოსტატი ივანე შაბალინი, რომელიც რუსთავში ჩამოგვყავა და ადგილზე განაგრძო ჩვენი პრაქტიკული წრთობა.

ბოლო თვეს ცეცხლთან და ლითონთან ბრძოლაში თამაზ ტუღუშის ცვლის მგლინავებმა ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს. ოქტომბრის გეგმა ცვლამ 112,5 პროცენტით გადაწყდა და სამშობლოს ასობით ტონა ფურცლოვანი ფოლადი მისცა.

ფურცელმგლინავებმა მეექვსე ხუთწლედში მნიშვნელოვნად უნდა გაადიდონ პროდუქციის გამოშვება. ამ მიზნით განზრახული აქვთ წარმოებაში გაბედულად დანერგონ მთელი რიგი ტექნიკური სიახლენი. ამას წინათ ფურცელსაგლინავის საამქროს როლგანგების ხაზი გააგრძელეს საგლინავი საამქროს მზა პროდუქციის გაყოფილების პირველ მალამდე, რითაც ფურცელმგლინავებს ხელი შეუწყეს ულიაბების შეუფერხებლად მიწოდებაში. გათვალისწინებულია მომავალში ფურცელსაგლინავი დგანის ლილვებთან მოაწყონ რკინის ხენჯის ჰიდრავლიკური ჩამრეცხი. ეს მგლინავებს საშუალებას მისცემს ფოლადის ფურცლების ხენჯისაგან გაწმენდისათვის აღარ გამოიყენონ არყისხისა და ტეხილის „ცოცხები“, რაც თვეში 30 ათას მანეთამდე უჯდებათ. მოეწყობა ავრეთვე ფოლადის ფურცლების მექანიზებულად დაბეჭდვა და სხვ.

რუსთავის რკინიგზის საღგურიდან ჩვენი თვალწინდაწყებული საამშობლოს სხვადასხვა კუთხისაკენ — ნიკოპოლის, არხანგელსკის, ტრამტორსკის, სტავროპოლის, ხერსონისა და სხვა მიმართულებით თითქმის ყოველდღიურად მიდის ეშელონები, დატვირთული მაღალხარისხოვანი ფურცლოვანი ფოლადით, რომელსაც ამერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარკა ამშვენებს. ეს მარკა ქარგა ხანია ცნობილი გახდა ჩვენი საამშობლოს ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ძნელია დაბეჯითებით თქმა — მოწინავე რომელია ფურცელსაგლინავი საამქროს ცვლებიდან, რომლებსაც ახალგაზრდა ინჟინერები იუზა წირღვავა, ვახტანგ კიკნაძე და თამაზ ტუღუში ხელმძღვანელობენ. ყოველ დეკადაში თუ არა, ყოველთვიურად მონაცვლეობთ გამოდიან ისინი პირველ ადგილზე. მათი წარმატებების სული და გულია უფროსი ოსტატი ინჟინერი რევაზ ფანცხავა. ოთხივემ ერთად დაამთავრა საქარიოველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ერთადვე მხარდამხარ იბრძვიან საამაყო შრომითი მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

საამქროში არ დავიწყდებათ ნოემბრის ეს დღე:

სამუშაოს გადასამარებლად გამოცხადებული წირღვავას ცვლის ფურცელმგლინავები განაცვიფრა წინა ცვლის წარმატებამ: 8 საათში გაგლინულია 179 ტონა ლითონი ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 103 ტონისა. ეს მაჩვენებელი კიკნაძის ცვლას ეკუთვნის. მეგობრის შრომითმა მიღწევამ იუზა უზომოდ გაახარა. გადაწყვიტა არც თვითონ დარჩენილიყო ვალში.

...დაძაბულ, შემოქმედებით შრომაში შეუმჩნევლად იწურება სამუშაო დღე. 179-ის გვერდით დაფაზე გაჩნდა ციფრი — 185, შემდეგ 191 — ტუღუშის ცვლის საწარმოო მაჩვენებელი.

* * *

დგან 2.100-ის ლილვებიდან როლგანგები დაუსრულებელ ნაკადად მიაცურებენ ფურცლოვან ფოლადს. მაგნიტური ამწეები ფოლადის კრიალა ფურცლებს ეშელონზე ტვირთავენ.

გ. გელაშვილი,
ვ. თორდუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ჩვენ გვწერენ

როდის გააუმჯობესებენ პურის ცხობის ხარისხს?

ბათუმში პურის ცხობის ხარისხი საერთოდ დაბალია. ამის გამო ბევრჯერ სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ბათუმის პურის კომბინატის დირექცია, მაგრამ, როგორც ჩანს, აქედან სათანადო დასკვნა მას დღემდე არ გაუკეთებია.

მაგალითად, 4 ნოემბერს „ბათუმვაჭრობის“ № 112 მაღაზიაში ნაყიდ პურში, რომელიც № 1 პურის ქარხნიდან იყო მიღებული, აღმოჩნდა მოზრდილი ნაჭერი თოკი, ასევე ხშირად ვნახულობთ მოუზელავი ფქვილის გუნდებს, კენჭებს, სხვადასხვა საგნის ნაწილებს. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პური მხოლოდ ნახევრად გამომცხვარია ან, პირიქით, დამწვარია, არა სტანდარტული ფორმისაა და სხვ.

ეს ფაქტები მომხმარებელთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

საინტერესოა, როდის გააუმჯობესებენ ბათუმში პურის ცხობის ხარისხს?

ვ. ვასაძე.
ფანერის ქარხნის მუშა.

ზუგდიდ-ნარაზენის გზაზე

ნარაზენი ყველაზე დიდი სოფელია ზუგდიდის რაიონში. აქ არის კოლმეურნეობა, ხეცერისა და ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობები, ჩაის ფაბრიკა, საშუალო სკოლა, საავადმყოფო და სხვა დაწესებულებები. ზუგდიდ-ნარაზენის გზის შესაყარში ყოველდღიურად 200-300 მგზავრი გროვდება და ელოდება ავტომანქანებს. ხშირად ნარაზენის გზის დასაწყისიდან მგზავრები უკან ბრუნდებიან იმის გამო, რომ ავტომანქანები არ არის. ზოგჯერ 35-40 კაცი სხდება სატვირთო ავტომანქანაში. მანქანის გადატვირთვის გამო უბედური შემთხვევებია. ამ გზის ტრანსპორტით უზრუნველყოფის შესახებ ბევრჯერ დაისვა საკითხი სათანადო ორგანოებში, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციოს.

გ. ბიგვავა,
მასწავლებელი.



სურათზე: თბილისის ფ. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები (მარცხნიდან მარჯვნივ) იმზე ხატისკაცი, ომარ ბურიაკოვი და ლუიზა ბერძენიშვილი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახახლის ეზოში აწარმოებენ იალქნიანი ნავის მოდელის „გამოცდას“. ფოტო შ. გოქაძისა.

მეცნიერება და ტექნიკა

მოძმე რესპუბლიკის კონსტრუქტორებმა შექმნეს...

„დტ-61“ მარკის ახალი ტრაქტორი



სტალინგრადის ძერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხანაში ააწყეს „დტ-61“ მარკის ტრაქტორი. სერიული გამოშვება ახალი ტრაქტორისა, რომლის გამოცდაც მიმდინარეობს, უახლოეს მომავალში დაიწყება. ტრაქტორი გამძლეა და ადვილი სამართავი. მნიშვნელოვნად გადაკეთებულია მისი მოტორი, საომრაო ნაწილი და სხვ.

„დტ-61“ მარკის ტრაქტორი უფრო ეკონომიურად ხარჯავს საწვავს. ერთ საათში 12 კილოგრამის ნაცვლად 10 კილოგრამი საწვავი ჰყოფნის. ახალი ტრაქტორის საერთო წონა „დტ-54“ მარკის მანქანასთან შედარებით 800 კილოგრამით ნაკლებია.

გაივლის ცოტა დრო, და ჩვენი ქვეყნის მინდვრებზე აგუგუნდება ახალი „დტ-61“ მარკის ტრაქტორი, რომელიც მეექვსე ხუთწლედის პირმშოდ ითვლება.

„დტ-61“ მარკის ტრაქტორის შექმნა, რომლის კონსტრუქტორები არიან მ. სიდელნიკოვი, ნ. მილოვანკინი, ა. ჩულკოვი, ვ. კარგინი და სხვები, სტალინგრადის ძერჟინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხნის მთელი კოლექტივის დიდი გამარჯვებაა.

* * *

ახალი საწვიმარი მანქანა

კიევის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ კონსტრუირებულ იქნა საწვიმარი მანქანა დნ-115. ეს მანქანა განკუთვნილია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მექანიზებული მორწყვისათვის. საწვიმარი მიბმულია დტ-54 მარკის ტრაქტორზე.

ახალი მანქანა ჰექტარზე ნორმით გათვალისწინებული 300 კუბური მეტრი წყლის დახარჯვით ერთ ცვლაში რწყავს 13,5 ჰექტარს. ამ მანქანის უპირატესობა ის არის, რომ შეუძლია მაღალი მანევრირება. საწვიმარის ფრთების სახსრიანი მიმაგრება საშუალებას აძლევა ფრთები გადათანაცვლოთ ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად.

დნ-115 მანქანამ გამოცდა გაიარა და კარგი შედეგი გვიჩვენა. იგი რეკომენდებულია სერიული გამოშვებისათვის.

რადიომიმღები „ბელარუს-57“

მინსკის რადიოქარხნის კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს უმაღლესი კლასის რადიომიმღების — „ბელარუს-57“-ის ახალი მოდელი. სრულიად საკავშირო საკავრო პალატის გადაწყვეტილებით ქარხანას ამისათვის მიეკუთვნა პრემია.

ახალ მიმღებს აქვს ხუთი ხმამაღლა მოლაპარაკე, რაც ქმნის მოცულობითი ხმოვანების ეფექტს. სიხშირის მოდულაციის დიაპაზონი გადაერთვება კლავიშების დახმარებით. შინაგანი ფერიტული მოსაბრუნებელი ანტენა საშუალებას აძლევა რადიოგადაცემები მიღებულ იქნას მინიმალური ხელშეშლით.

ნახევრადგამტარებისა და მცირეგაბარიტიანი ლამპების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ახალი მიმღების წონა.

რადიომიმღებ „ბელარუს-57“-ის სერიული გამოშვება დეკემბერში დაიწყება.

ოკეანოგრაფიული ექსპედიციის გამოკვლევები

არქტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ოკეანოგრაფიული ექსპედიცია ყინულმჭრელ „ლენინგრადზე“ და ნადირსახოც შხუნებზე „ბუისა“ და „აქტიუბინსკზე“ სამნახევარი თვის განმავლობაში სწავლობდა კარის ზღვის სამხრეთ-დასავლური და ცენტრალური ნაწილების დინებასა და ჰიდროლოგიურ რეჟიმს.

გაშლილ ზღვაში, ნაპირიდან 100-150 მილზე, პირველად მოეწყო 15 ბუის სადგური, აღჭურვილი დინების ჩამწერი ავტომატური რეგისტრატორებით. იმის მეოხებით, რომ სადგურები აღჭურვილი იყო რადიოლოკაციის ამრეკლავებით, გემები სწრაფად პოულობდნენ მათ, ამოწმებდნენ ფექანიზმების მუშაობას, ხდებოდა თვითჩამწერი ლენტების განახლება. არქტიკის ინსტიტუტში შექმნილმა ბუის სადგურებმა დინების გამოკვლევის დროს თავისი მაღალი თვისებები გვიჩვენეს.

გემ „ბუიდან“ ექსპედიციის მონაწილეთა ჯგუფი სისტემატურად აწარმოებდა ოკეანოგრაფიულ დაკვირვებებს. მარეოგრაფების საშუალებით განხორციელდა გაშლილ ზღვაში წყლის დონის მერყეობის მეცნიერული გამოკვლევა. ეს ხელსაწყოები, რომლებსაც ჯალამბრებით უშვებდნენ წყალში, იდგმებოდა ზღვის ფსკერზე.

ლენინგრადში დაბრუნებისას ექსპედიციამ ჩამოიტანა გრუნტისა და ზღვის წყლების სინჯები, აგრეთვე დიდძალი ლენტი ჩანაწერებით, რომლებიც ეხება დინების რეჟიმს. ექსპედიციის მუშაობის საფუძველზე შედგენილი იქნება სანავიგაციო სახელმძღვანელოები.

დისკუსია თეატრზე...

„ქართული საბჭოთა დრამატურგიის საკითხები“ — მეტად სერიოზული [illegible] ამ აირჩიეს სადისკუსიოდ საქართველოს საბჭოთა მწერლების [illegible] ციამ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ. მომხსენებლად გამოიყო ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ცაცანაშვილი. 23 ნოემბერს მწერალთა კავშირის კლუბში შედგა „დისკუსია“. მომხსენებელმა გაარჩია თბილისის სახელმწიფო თეატრების მიერ უკანასკნელ წლებში დადგმული თანამედროვეობის თემაზე დაწერილი პიესები: ი. ვაკელის „სამშობლო ქალი“, ვ. გაბესკირიას „ახალწლის ღამეს“, მიხ. მრევლიშვილის „ზვავი“, გ. ბერძენიშვილის „ლერწამი ყარში“, გ. შატბერაშვილის „უცნობი ქალი“, რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“ და „რას იტყვის ხალხი“ და ო. ჩიქოვანის „პირველი მერცხლები“.

მოხსენების შემდეგ, როგორც წესი, უნდა დაწყებულიყო დისკუსია. მით უმეტეს, რომ მოხსენება ამის საშუალებას იძლეოდა. მაგრამ...

სწორედ კამათის დროს ცხადი გახდა, რომ დისკუსია სათანადოდ არ იყო მომზადებული. მას არ ესწრებოდნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და მისი ხელოვნების სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები, დიდი ნაწილი თეატრალური კრიტიკოსებისა, მწერლებისა, რეჟისორებისა და იმ დრამატურგებისა, რომელთა პიესები დისკუსიის მთავარი საგანი იყო.

დისკუსიას არ ესწრებოდა თვით თეატრალური საზოგადოების აქტივი, აგრეთვე მწერალთა კავშირის დრამატული სექციის ზოგიერთი წევრი.

ცხადია, ასეთ პირობებში დისკუსიამ „ქართული საბჭოთა დრამატურგიის საკითხებზე“, რომელსაც საქმიანად ჩატარების პირობებში დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო, მეტად უფერულად ჩაიარა.

ამ ფაქტიდან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ სათანადო დასკვნა უნდა გაიკეთონ. მით უმეტეს, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის.

გ. ეკალაძე.

„ლიტერატურული ქუთაისი“

გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების ერთდროული გაზეთი „ლიტერატურული ქუთაისი“.

გაზეთში მოთავსებულია შემდეგი მასალები: დიადი დღესასწაული (მოწინავე), შ. ჯავახაძის ნარკვევი — „რამდენიმე დღე სომეხ მეგობრებთან“, ზ. მესენგისერის ბიბლიოგრაფიული წერილი — „მოგონებანი ლენინზე“, ერთი თავი ს. ფხაკაძის ნარკვევების წიგნიდან — „წყალტუბო“, ო. იოსელიანის მოთხრობა — „მეზობლები“, გ. სამხარაძის წერილი — „სატირა და ჰუმორი „ნიანგის“ ფურცლებზე“, მ. ალავიძის წერილი — „აკაკის მარშრუტით“, პ. ხმალაძის ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილი — „ალექსანდრე ქუთათელის მოთხრობები“, ირ. კეფილაძის ფელეტონი — „მოყვარეს პირში უძრახე“... პიესების განყოფილებაში მოთავსებულია არჩილ გურჯიძის, დიმენტი ახობაძის, დავით კვიცარიძის, დავით ხუროძის, რუთა ბეროძის, სულხან ამდალაძის, ვენერა ჯაფარიძის, სპარტაკ მხეიძის, მიხეილ კაკიტელაშვილის ლექსები, ცნობილი რუსი პოეტის სერგეი ესენინის პოემა — „ანა სნეგინა“ (თარგმანი ზურაბ კუზიანიძის), გაზეთში აგრეთვე მოთავსებულია ხელოვნების ქრონიკა.

ერთდროული გაზეთის რედაქტორია კ. ლორთქიფანიძე.

ორმხრივი ვალდებულებების განაღდება გეგმების წარმატებით შესრულების საწინდარია

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრაში განსაკუთრებით დიდი როლი და მნიშვნელობა ენიჭება კოლექტიურ ხელშეკრულებებს.

კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების [illegible] მუშაობის მაგალითს იძლევიან თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, მაუდკომვოლის კომბინატი და სხვ.

ამ საწარმოებში კოლექტიური ხელშეკრულების შესრულებისადმი ყოველდღიური კონტროლის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისადმი, დიდი ყურადღება ექცევა წარმოების მოწინავე ადამიანების — ნოვატორების მუშაობის გამოცდილების გავრცელებას, საწარმოო თათბირების მოწყობას, კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს.

ამასთან ერთად რესპუბლიკის მრავალ საწარმოში სერიოზული ყურადღება არ ექცევა კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას, რამაც გამოიწვია ამ საწარმოთა ჩამორჩენა სახელმწიფო გეგმების შესრულებაში.

მიმდინარე წლის განვლილ თვეებში გეგმა ვერ შეასრულა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს ბევრმა საწარმომ. მომხმარებლებს სისტემატურად ვერ აკმაყოფილებენ ქვანახშირით საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მთელი რიგი შახტები. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმას ვერ ასრულებს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტებისა და სამმართველოების უმრავლესობა. გეგმებს ვერ ასრულებენ აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო, კასპის ცემენტის ქარხნები, კერამიკული კომბინატი და სხვ.

ამ საწარმოთა ჩამორჩენის ძირითადი მიზეზებია კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შეუსრულებლობა, წარმოების ახალი ტექნიკისა და რეზერვების სუსტად გამოყენება, შრომის ცუდი ორგანიზაცია, შრომის დისციპლინის სისუსტე, სოციალისტური შეჯიბრების სათანადოდ გაუშლელობა და შრომის მოწინავე მეთოდების სუსტად დანერგვა, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოუწესრიგებლობა.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის შახტებში ხშირია მუშებისა და მექანიზმების მოცდენა, ქვანახშირის კომბაინების დაახლოებით 30 პროცენტი გამოუყენებელია, ქვანახშირის აწმენდა მექანიზებულია მხოლოდ 40 პროცენტით, არ სრულდება აგრეთვე ლავების ციკლურ გრაფიკზე გადაყვანის გეგმა. ამერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში დგანი „400“ გამოყენებულია 36 პროცენტით, ხოლო დგანი „140“ — 65 პროცენტით და სხვ.

კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები ცუდად სრულდება რესპუბლიკის მტს-ებში. კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი ფორმალური დამოკიდებულებისა და შრომის ცუდი ორგანიზაციის შედეგად რესპუბლიკის 18 მტს-მა ვერ შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა.

ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და ვაჭრობის სამინისტროებში. ამ სამინისტროების ბევრ საწარმოში ირღვევა შრომის კანონმდებლობა, მიმართავენ ზედმეტ საათებში და გამოსასვლელ დღეებში მუშაობას.

უკვე რამდენიმე წელია კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის საწარმოო საამქროებში ვენტილაციისა და გათბობის მოწყობა. სამი წლის წინათ ამ სამუშაოთა შესრულება დაევალა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტს, მაგრამ ეს სამუშაოები დღემდე დაუმთავრებელია.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა ასევე ჩაშალა კოლექტიური ხელშეკრულების იმ ნაწილის შესრულება, რომელიც შეეხება ვენტილაციის მოწყობას ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროებში, სადაც ამ მიზეზით აუთვისებელი დარჩა 1955 წლის კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული 500 ათასი მანეთი. ვენტილაციის მოწყობას ჩაშლის საფრთხე მოელის წელსაც.

საფეიქრო მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტების საწარმოებში ცუდად ითვისებენ საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილ სახსრებს, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები არ სრულდება კოლექტიური ხელშეკრულებებით დაწესებულ ვადებში.

საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო ვერ ასრულებს ბევრი სამინისტროსა და უწყების საწარმოებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმას, იგი ვერ ასრულებს თავისი მუშებისათვის სახლების აშენებლობის გეგმასაც. მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში სამინისტროს ხაზით საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულებული იყო 95 პროცენტით.

საქალაქო და სასოფლო მშენებლობის, ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები, პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი და პროფკავშირთა ბევრი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი შეურიგდნენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმების ჩაშლის ფაქტებს, სათანადოდ არ მოითხოვენ სამინისტროებისა და სამეურნეო ხელმძღვანელებისაგან ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ნორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ბევრ ორგანიზაციაში არ სრულდება კოლექტიური ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც შეეხება აღმზრდელობითსა და კულტურულ მუშაობას. კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეების მუშაობა მოწყვეტილია ცხოვრებასა და საწარმოთა ამოცანებს. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდისათვის გამართული ლექციები, მოხსენებები და საუბრები ხშირად განყენებულ ხასიათს ატარებს, გვერდს უვლის თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და ამიტომ მშრომელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები მათ არ ესწრებიან.

სერიოზული ნაკლოვანებებია მხატვრული თვითმოქმედების მუშაობაში. პროფკავშირული ორგანიზაციების მხრივ სათანადო კონტროლის უქონლობის შედეგად ბევრ კულტურულ დაწესებულებაში წრეები მცირერიცხოვანია. მთელმა რიგმა თვითმოქმედმა წრეებმა, რომლებიც მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე დაჯილდოებულ იქნენ, დათვალიერების შემდეგ მუშაობის გაძლიერების ნაცვლად სულ შეწყვიტეს არსებობა. ასეთებია ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის მომღერალთა ანსამბლი „მეგობრობა“, სოხუმის რკინიგზის კვანძის საესტრადო ორკესტრი, ახალი ათონის საბჭოთა მეურნეობის სამხატვრო ბრიგადა, რუსთავის მეტალურგთა სასახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს — სათანადოდ მოუარონ კულტურული დაწესებულებების შენობებს, კლუბებში არ არის დასასვენებელი ოთახები, ელემენტარული მოწყობილობა, წესრიგი და სისუფთავე. არის ისეთი კლუბები, რომლებსაც ზამთრის თვეებში არ ათბობენ (შახტმშენის კლუბი ქ. ტყვარჩელში, სადგურ შორაპნის კლუბი, ჩაქვისა და წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობების კლუბები და ა. შ.).

საწარმოების, ახალშენებების მტს-ების ცალკეული ხელმძღვანელების და პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მხრივ ფორმალური დამოკიდებულების შედეგად ბევრგან კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება სისტემატურად არ ხდება.

პროფკავშირთა ბევრი რესპუბლიკური კომიტეტი და სამინისტრო კი ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. პლენუმებზე, პრეზიდიუმებისა და კოლეგიების სხდომებზე იშვიათად ისმენენ საწარმოთა ხელმძღვანელების და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეების მოხსენებებს კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულებისადმი კონტროლს არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ საურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო, ხორცისა და რძის პროდუქტების სამინისტრო, საურსათო საქონლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, ვაჭრობის სამინისტრო.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ცენტრალური კომიტეტის პარტორგანოების განყოფილების პასუხისმგებელი [illegible] [illegible] [illegible]

დ. ჯ. შეპილოვის შეხვედრა დ. ჰამარშელდთან

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). 26 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბ-ნ დაგ ჰამარშელდს. შეხვედრის დროს განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიის შემდგომ მუშაობასთან. შეხვედრას დაესწრნენ სსრ კავშირის დელეგაციის წევრები ვ. ვ. კუზნეცოვი, ა. ა. სობოლევი, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე ი. ს. ჩერნიშევი.

დ. ჯ. შეპილოვის შეხვედრა კრიშნა მენონთან

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი გუშინ შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე ინდოეთის დელეგაციის მეთაურს კრიშნა მენონს და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან XI სესიის მუშაობის შესახებ. საუბარში მონაწილეობა მიიღო ვ. ვ. კუზნეცოვმა.

ჯოუ ენ-ლაი კამბოჯაში

ხანოი, 26 ნოემბერი. (საკდესი). პნომ-პენიდან მიღებული ცნობებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ და მისმა თანმხლებმა პირებმა, რომლებიც კამბოჯაში იმყოფებიან მეგობრული ვიზიტით, ინახულეს ქალაქები კომპონგ-ჩამი და სიემ-რეაპი, სადაც მათ გულთბილად შეხვდნენ და მიესალმნენ ათეულ ათასობით მცხოვრებნი და ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლები.

გუშინ ჯოუ ენ-ლაი და მისი თანმხლები პირები პნომ-პენში დაბრუნდნენ.

კამბოჯის მთავრობამ ჯოუ ენ-ლაის პატივსაცემად გამართა სადილი, რომელზეც სხვა სტუმართა შორის იყო პრინცი ნოროდომ სიანუკი.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა კამბოჯის პრემიერ-მინისტრმა სან იუნმა, რომელმაც თქვა, რომ კამბოჯა მტკიცედ იცავს სასტიკი ნეიტრალიტეტის პოლიტიკას და სურს ამით თავისი წვლილი შეიტანოს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში. ყოველი ნაბიჯი, რომლის მიზანი იქნება ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობა, განაცხადა სან იუნმა, ვისგანაც უნდა იყოს იგი გადადგმული კამბოჯის მხარდაჭერას ჰპოვებს

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჯოუ ენ-ლაიმ, რომელმაც თქვა, რომ ჩინეთის მთავრობა და ხალხი დიდად აფასებენ კამბოჯის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე.

ზრუნვა ალბანეთის მშრომელთა მაგზერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის

ტირანა, 26 ნოემბერი. (საკდესი). გამოქვეყნდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სამრეწველო და სასურსათო საქონლის საცალო ფასების შემცირების შესახებ. დადგენილების შესაბამისად ფასები მცირდება 5-50 პროცენტით.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ფასების ახალი შემცირებისაგან მოსახლეობის ყოველწლიური მოგება 750 მილიონ ლეკზე მეტს შეადგენს.

პრესაში გამოქვეყნებულია აგრეთვე ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ალბანეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს დადგენილება მცირეხელფასიანი მუშაკებისათვის ხელფასის გადიდების შესახებ.

გაზეთები იუწყებიან, რომ ალბანეთის მინისტრთა საბჭომ და ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს 1957 წლის 1 იანვრიდან გაუდიდონ პენსიები ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებს, სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე მუშებსა და მოსამსახურეებს.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერვიუ

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, მისცა რა ინტერვიუ ტელევიზიით, ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაჰმუდ ფავზიმ განაცხადა, რომ თუ ინგლიისს, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარები დაუყოვნებლივ არ იქნენ გაყვანილი ეგვიპტიდან, გაერთიანებულმა ერებმა უნდა იხმარონ ძალა მათს განსადევნად. უპასუხა რა კითხვებზე, ფავზიმ განაცხადა, რომ ეგვიპტეს „მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა რეზოლუცია წესდების ზუსტი შესაბამისობით“. ეგვიპტე, განაგრძო მან, „საკუთარ მზად არის გადაჭრას შუა აღმოსავლეთის პრობლემები“.

შეეხო რა იმ მტკიცებას, რომელსაც ინგლისური და ფრანგული წყაროებიდან ავრცელებენ, რომ ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა უკვე დაიწყეს არხის ჩრდილოეთი შესართავის გაწმენდა, ფავზიმ აღნიშნა, რომ, სანამ დაიწყებოდეს მუშაობა სუეცის არხის გასაწმენდად ჩაძირული გემებისაგან, რომლებიც ამჟამად ნოსონობას ხელს უშლიან, საჭიროა გაიყვანონ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარები ეგვიპტიდან. თუ რომელიმე ქვეყანას „ეჭვარება“ გაიწმინდოს არხი, თქვა მან, დაე გაიყვანოს თავისი ჯარები.

ფავზიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტე გაილაშქრებს ყოველი იმ ღონისძიების წინააღმდეგ, რომლის მიზანი იქნება არხის მართვა გადაიდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარებადი ეკონომიკის ფონდი

ბაგდადი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ბაგდადში ეკონომიკურ საკითხებზე ინდოეთ-ინდონეზიის ბანდუნგის ბოლოდროინდელ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების ერთ-ერთ ასეთ ფონდად ითვალისწინებენ ეგვიპტეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახების, სამხედრო მოსამსახურეების, აგრეთვე მუშებსა და მოსამსახურეებს.

ეგვიპტეში საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერვიუ

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, მისცა რა ინტერვიუ ტელევიზიით, ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაჰმუდ ფავზიმ განაცხადა, რომ თუ ინგლიისს, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარები დაუყოვნებლივ არ იქნენ გაყვანილი ეგვიპტიდან, გაერთიანებულმა ერებმა უნდა იხმარონ ძალა მათს განსადევნად. უპასუხა რა კითხვებზე, ფავზიმ განაცხადა, რომ ეგვიპტეს „მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა რეზოლუცია წესდების ზუსტი შესაბამისობით“. ეგვიპტე, განაგრძო მან, „საკუთარ მზად არის გადაჭრას შუა აღმოსავლეთის პრობლემები“.

ზრუნვა ალბანეთის მშრომელთა მაგზერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის

ტირანა, 26 ნოემბერი. (საკდესი). გამოქვეყნდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სამრეწველო და სასურსათო საქონლის საცალო ფასების შემცირების შესახებ. დადგენილების შესაბამისად ფასები მცირდება 5-50 პროცენტით.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ფასების ახალი შემცირებისაგან მოსახლეობის ყოველწლიური მოგება 750 მილიონ ლეკზე მეტს შეადგენს.

პრესაში გამოქვეყნებულია აგრეთვე ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ალბანეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს დადგენილება მცირეხელფასიანი მუშაკებისათვის ხელფასის გადიდების შესახებ.

გაზეთები იუწყებიან, რომ ალბანეთის მინისტრთა საბჭომ და ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს 1957 წლის 1 იანვრიდან გაუდიდონ პენსიები ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებს, სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე მუშებსა და მოსამსახურეებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიის დასასრულ

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეის დილის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა საკითხისა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით.

პირველი გამოვიდა უკრაინის სსრ დელეგაციის ხელმძღვანელი ლ. თ. პალამარჩუკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის შეიარაღებული აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ შეიცავს უაღრესად სერიოზულ შედეგებს და უკვე გამოიწვია საშიში კამეფვება საერთაშორისო ვითარებაში.

ჩვენ ვეთანხმებით ეგვიპტის მთავრობის თვალსაზრისს, თქვა ლ. თ. პალამარჩუკმა, რომ 29 ოქტომბერს დაწყებული ომბები არის იმ რთული შეთქმულების შედეგი, რომელიც მოაწყეს ინგლისმა, საფრანგეთმა და მათმა თანამონაწილე ისრაელმა.

ჩვენ, განაგრძო ლ. თ. პალამარჩუკმა, მხარს ვუჭერთ ეგვიპტის მთავრობის სამართლიან მოთხოვნას აგრესორთა მოქმედებისა და მშვიდობიანი ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამოკვლევის შესახებ.

დასასრულ უკრაინის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ აგრესორმა ქვეყნებმა დაუყოვნებლივ შეასრულონ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება ეგვიპტიდან თავიანთი ჯარების გაყვანის შესახებ. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ხარჯი, რაც დაკავშირებულია სუეცის არხის გაწმენდასთან, ისევე როგორც სხვა ზარალი, რომელიც ეგვიპტეს მიაყენეს, უნდა ანაზღაურონ იმათ, ვინც აგრესია ჩაიდინა.

საუდის არაბეთის წარმომადგენელმა დეჯანიმ გამოთქვა თავისი ქვეყნის დელეგაციისა და არაბთა სხვა ქვეყნების დელეგაციების აღშფოთება იმის გამო, რომ ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი დაჟინებით უგულებელყოფენ რეზოლუციებს, რომლებიც გენერალურმა ასამბლეამ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო.

საუდის არაბეთის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პასუხი უნდა მოეთხოვოს აგრესორებს მათ მიერ ჩადენილი მთელი დანაშაულისათვის, მთელი ზარალისათვის, რაც ეგვიპტეს მოუვიდა, მათ შორის იმ ზარალისთვისაც, რომელიც სუეცის არხს მიაყენეს.

საუდის არაბეთის წარმომადგენელმა მტკიცედ მოითხოვა უსწრაფესად განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი ეგვიპტიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ და მოითხოვა, რომ ამ გადაუდებელ საკითხს სხვა პრობლემებს არ უკავშირებდნენ. არაბთა ქვეყნები, თქვა დეჯანიმ, ვერ მოითმენენ რაიმე ინტრიგას, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ახლო აღმოსავლეთში.

ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიის საკითხის განხილვა გრძელდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეის დილის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა საკითხისა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით.

პირველი გამოვიდა უკრაინის სსრ დელეგაციის ხელმძღვანელი ლ. თ. პალამარჩუკი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის შეიარაღებული აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ შეიცავს უაღრესად სერიოზულ შედეგებს და უკვე გამოიწვია საშიში კამეფვება საერთაშორისო ვითარებაში.

ჩვენ ვეთანხმებით ეგვიპტის მთავრობის თვალსაზრისს, თქვა ლ. თ. პალამარჩუკმა, რომ 29 ოქტომბერს დაწყებული ომბები არის იმ რთული შეთქმულების შედეგი, რომელიც მოაწყეს ინგლისმა, საფრანგეთმა და მათმა თანამონაწილე ისრაელმა.

ჩვენ, განაგრძო ლ. თ. პალამარჩუკმა, მხარს ვუჭერთ ეგვიპტის მთავრობის სამართლიან მოთხოვნას აგრესორთა მოქმედებისა და მშვიდობიანი ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამოკვლევის შესახებ.

დასასრულ უკრაინის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ აგრესორმა ქვეყნებმა დაუყოვნებლივ შეასრულონ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება ეგვიპტიდან თავიანთი ჯარების გაყვანის შესახებ. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ხარჯი, რაც დაკავშირებულია სუეცის არხის გაწმენდასთან, ისევე როგორც სხვა ზარალი, რომელიც ეგვიპტეს მიაყენეს, უნდა ანაზღაურონ იმათ, ვინც აგრესია ჩაიდინა.

საუდის არაბეთის წარმომადგენელმა დეჯანიმ გამოთქვა თავისი ქვეყნის დელეგაციისა და არაბთა სხვა ქვეყნების დელეგაციების აღშფოთება იმის გამო, რომ ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი დაჟინებით უგულებელყოფენ რეზოლუციებს, რომლებიც გენერალურმა ასამბლეამ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო.

საუდის არაბეთის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პასუხი უნდა მოეთხოვოს აგრესორებს მათ მიერ ჩადენილი მთელი დანაშაულისათვის, მთელი ზარალისათვის, რაც ეგვიპტეს მოუვიდა, მათ შორის იმ ზარალისთვისაც, რომელიც სუეცის არხს მიაყენეს.

საუდის არაბეთის წარმომადგენელმა მტკიცედ მოითხოვა უსწრაფესად განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი ეგვიპტიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ და მოითხოვა, რომ ამ გადაუდებელ საკითხს სხვა პრობლემებს არ უკავშირებდნენ. არაბთა ქვეყნები, თქვა დეჯანიმ, ვერ მოითმენენ რაიმე ინტრიგას, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ახლო აღმოსავლეთში.

ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიის საკითხის განხილვა გრძელდება.

მდგომარეობა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 26 ნოემბერი. (საკდესი). დღეს რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობისა და ბუდაპეშტის მუშათა საბჭოს მოწოდებით მუშაობას შეუდგა უნგრეთის სამრეწველო საწარმოების, შახტების, მაღაროების, ელექტროსადგურების, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა დიდი უმრავლესობა. სარკინიგზო და საქალაქო ტრანსპორტმა ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ დაიწყო მუშაობა იქ, სადაც ეს შესაძლებელი იყო.

ბუდაპეშტის ფაბრიკა-ქარხნებში დღეს მუშაობდა მუშა-მოსამსახურეთა დაახლოებით 80 პროცენტი. მაგალითად, კიშპეშტის საარაქტორო ქარხანაში მუშაობდა მუშათა თითქმის 4/5. ასეთივე მდგომარეობაა კიშპეშტის საფეიქრო ფაბრიკაში, სადაც მუშაობა უკვე მოგვარებულია ორ ცვლად.

უიპეშტის ფეხსაცმლის ფაბრიკა „დუნამ“ დაიწყო პროდუქციის გამოშვება.

თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო ნედლეულის, სათბობის და, განსაკუთრებით, ელექტროენერგიის მწვავე ნაკლებობას განიცდის. ახლა ეს ძირითადი მიზეზია, რომელიც ხელს უშლის წარმოების სრულ ნორმალიზაციას. წარმოების დასაწყებად საჭირო ქვანახშირს, აგრეთვე ნედლეულსა და მოწყობილობას უნგრეთს აწვდიან საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

გი მოღეს გამოსვლა

პარიზი, 26 ნოემბერი. (საკდესი). საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გი მოლემ გუშინ საღამოს სიტყვა წარმოთქვა სოციალისტური პარტიის წევრთა კრებაზე ქალაქ მულენში. გი მოლეს გამოსვლა, როგორც ჩანს, მიზნად ისახავდა გაემართლებინა ფრანგი სოციალისტების თვალში მილიტარისტული პოლიტიკა, რომელსაც საფრანგეთის ახლანდელი მთავრობა ახორციელებს. ამ მიზნით გი მოლე არ მოერიდა უხეშ გამოხდომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გაიმეორა გაცვეთილი მტკიცებანი ახლო აღმოსავლეთში მითიერი „საბჭოთა გეგმების“ შესახებ. ასეთი ჭორები საბჭოთა გეგმების შესახებ, რომლებიც „მზადდება“, მეტად არადამაჯერებლად ეღერს იმ მთავრობის ხელმძღვანელის სიტყვაში, რომელმაც უკვე დაიწყო და ახორციელებს აშკარა ბარბაროსულ აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ.

შემდეგ გი მოლე ცდილობდა გაეფანტა სოციალისტური პარტიის რიგებში მზარდი შეშფოთება, რასაც ის ფაქტი იწვევს, რომ მთავრობა, რომელსაც სოციალისტები მეთაურობენ, ალჟირში განაგრძობს ომს და ცდილობს იარაღით, ძალით ჩახშოს ალჟირელი ხალხის ეროვნული მისწრაფებანი. როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ალჟირში თავმოყრილია დიდძალი ჯარი და საბრძოლო ტექნიკა, საფრანგეთის მმართველმა წრეებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ამ თავიანთ მიზანს და ალჟირელი ხალხის ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის გრძელდება. მაგრამ გი მოლე ფაქტების საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, რომ „დაშშმინება ამჟამად უკვე უზრუნველყოფილია“ და რომ „საომარი მოქმედება შეიძლება მალე დამთავრებულად ჩაითვალოს“. გი მოლემ თქვა, რომ მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“, მაგრამ იქვე გასაგები გახადა, რომ „ცეცხლის შეწყვეტის“ პირობად შეაჩნია ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის კაპიტულაცია. „რამდენმე თვეულ ათას კაცს, რომლებიც აჯანყებულთა არმიას შეადგენენ“, — განაცხადა მან, — უფლება არა აქვს „თავისი კანონი უკარნახოს ცხრა მილიონ ფრანგს, ევროპელსა და მუსლიმანს“. გი მოლემ აშკარად უგულებელყო ის არც თუ მცირე მნიშვნელობის გარემოება, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია იცავს ალჟირელი ხალხის მისწრაფებებს და ამიტომ არ შეიძლება მისი დაპირდაპირება ხალხისადმი

და რომ ალჟირში მცხოვრებ ფრანგთა რიცხვი შეადგენს მთელი მოსახლეობის სულ დიდი 11 პროცენტს, მოსახლეობა კი 9 მილიონამდე კაცს უდრის.

თურქეთ-ისრაელის ურთიერთობის გამო

პარიზი, 27 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, გუშინ იქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა გაიწვიოს თავისი დესპანი ისრაელიდან.

XVI ოლიმპიურ ასპარეზობაზე

მელბურნი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ქვემძიმე წონის შტანგისტების შეჯიბრებაში დიდი წარმატება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ა. ვორობიოვმა. პირველსავე მოძრაობაში — აჭიმვაში მან ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. მისი შედეგია 147,5 კილოგრამი. სამჭიდში ვორობიოვმა მშვენიერი შედეგი აჩვენა — 462,5 კილოგრამი, რაც ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდია. ა. ვორობიოვმა მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი. მეორე ადგილზეა ამერიკელი სპორტსმენი დ. შეპარდი.

დღეს დამთავრდა კალთბურთელთა წინასწარი შეხვედრები. ერთ ქვეჯგუფში სსრ კავშირის გუნდთან ერთად არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ბრაზილია და ბულგარეთი. მეორე ქვეჯგუფში შევიდნენ ურუგვაი, საფრანგეთი, ფილიპინები და ჩილი.

მელბურნი, 26 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ოლიმპიურ ასპარეზობაზე დამთავრდა შეჯიბრება სიმძიმეთა აწევაში. ტ. კონომ (ამერიკის შეერთებული შტატები) სამჭიდში 447,5 კილოგრამი მოიგოროვა და დაამყარა ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდები, რითაც ოქროს მედალი მოიპოვა. საბჭოთა შტანგისტი ვ. სტეპანოვი მეორე ადგილზე გამოვიდა.

ნაშუადღევს გაიმართა ფინალური შეჯიბრება ვაჟთა შორის შუბის ტყორცნაში. პირველი ადგილი და ოლიმპიური ასპარეზობის ოქროს მედალი მოიპოვა ნორვეგიელმა ძმლეოსანმა ე. დანიელსენმა. ერთ-ერთ ცდაში მან აჩვენა შედეგი — 85 მეტრი და 71 სანტიმეტრი. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია.

ჭოკით ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა ამერიკელმა ბ. რიჩარდმა, რომელიც გადახტა 4 მეტრსა და 56 სანტიმეტრზე.

დღეს დაიწყო ვაჟთა ფინალური გარბენა 800 მეტრზე. საბჭოთა სპორტსმენებს ამ დისტანციაზე რბენაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ფინიშზე პირველი მივიდა და ოქროს მედალი მოიპოვა ამერიკელმა მძლეოსანმა ტ. კურტნეიმ.

გაიმართა ქალთა ფინალური გარბენი 100 მეტრზე. ოქროს მედალი მოიპოვა ავსტრალიელმა სპორტსმენმა ბ. კატბერტმა. მისი დროა 11 წუთი და 5 წამი.

მოეწყო სამი წინასწარი გარბენი 5 ათას მეტრზე რბენაში. სამივე საბჭოთა მორბენალმა — ვ. კუცმა, პ. ბოლოტნიკოვმა და ი. ჩერნავსკიმ ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

დღეს მოეწყო წინასწარი გარბენები ვაჟთა შორის 200 მეტრზე.

მელბურნი, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ნახევარფინალური შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში, სადაც საბჭოთა სპორტსმენების უმრავლესობამ კარგი შედეგი აჩვენა.

გაიმართა ვაჟთა შეჯიბრება რაპირაში პირად პირველობაზე. ნახევარფინალური შეჯიბრების შედეგად საბჭოთა სპორტსმენმა მ. მიდლერმა გაიმარჯვა თავის ყვეჯგუფში და ფინალში გავიდა.

ფეხბურთის მატჩი ინგლისისა და ტაილანდის გუნდებს შორის დამთავრდა ანგარიშით 9:0 ინგლისელთა სასარგებლოდ.

გრძელდებოდა მოკრივეთა წინასწარი შეჯიბრება.

გუშინ დაიწყო შეჯიბრება საიალქნო სპორტში, რომელიც შვიდ დღეს გაგრძელდება.

გრძელდება შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. გუშინ პროგრამაში იყო პისტოლეტის სროლა 25 მეტრ დისტანციაზე. პირად ჩათვლაში პირველობდა მექსიკის გუნდის წარმომადგენელი მ. ალმადა. საბჭოთა სპორტსმენმა ი. ნოვიკოვმა მეორე ადგილი გაიყო უნგრელ გ. ბენედეკთან ერთად.

გუნდურ ჩათვლაში სამი დღის შეჯიბრების შემდეგ თანამედროვე ხუთჭიდში წინ არიან ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები — 7.588 ქულა. მეორე ადგილზეა სსრ კავშირის გუნდი — 7.231,5 ქულა. მესამეზე — ფინეთისა — 7.040,5 ქულა.

26 ნოემბერს გვიან საღამოს დამთავრდა მძიმე წონის შტანგისტების შეჯიბრება. ამ წონის კატეგორიაში ძირითადი მოწინააღმდეგენი იყვნენ ამერიკელი პ. ანდერსონი და არგენტინელი უ. სელვეტი. სამჭიდში თვითეულმა მათგანმა 500 კილოგრამი მოაგროვა. მაგრამ იმის გამო, რომ პ. ანდერსონის წონა (137,9 კილოგრამი) სელვეტისაზე ნაკლები იყო, პირველი ადგილი და ოქროს მედალი ანდერსონს მიეკუთვნა.

ქარხნის ახალგაზრდობის ზეიმი



მონდომებით ემზადებოდნენ თბილისის სტალინის სახელობის ვაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდები პირველი საქარხნო ფესტივალისათვის. მზადების დღეებში მათ ლამაზად მორთეს ქარხნის ტერიტორია, საამქროები, წითელი კუთხეები, კლუბი, სასპორტო ბაზები. გამოცხადებული იყო კონკურსი ფესტივალის სამკერდე ნიშნის უკეთესი ნიმუშისათვის. ახალგაზრდებმა პლეხანოვის სახელობის კლუბის ტერიტორიაზე დარგეს ბევრი დეკორაციული მცენარე, ქარხნის მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლის ეზოში (საბჭოს ქუჩა № 351) დაიწყეს სასპორტო მოედნის მოწყობა, მონაწილეობა მიიღეს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ახალგაზრდობის ზეიმში, მოაწყეს ფესტივალისადმი მიძღვნილი ტურისტული სვლა თბილისი-წყნეთი-ბეთანია, ექსკურსიები ბათუმსა და სოხუმში, საქარხნო სპარტაკიადა, გამოუშვეს ფესტივალისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთი, იუმორისტული გაზეთი და ფოტოგაზეთი.

ამ დღეებში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქარხნის ახალგაზრდების ფესტივალი. სასპორტო მოედნები მუშა-მოსამსახურეებით აივსო. ახალგაზრდებს ეწვივნენ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნისა და სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ახალგაზრდა მუშები. მარშის ხმაზე მოედანზე მწყობრად შემოვიდნენ ფესტივალის მონაწილე ახალგაზრდები, ისინი, ვინც თავი ისახელა შრომაში და ამავე დროს აქვს მაღალი სპორტული მაჩვენებლები. მათ წინ მოუძღოდა საქვაბე საამქროს მოწინავე მუშა ე. სახვაძე. ფესტივალის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ა. სამანიშვილმა. ფესტივალის დაწყების ალამი აღმართეს ახალგაზრდებმა გ. ჯიხვაძემ, რ. მესხიშვილმა და პ. შაპოვალოვმა. ახალგაზრდებმა ააფრინეს მტრედები, როგორც მშვიდობის სიმბოლო. საზეიმო ნაწილის შემდეგ დაიწყო შეჯიბრება კალთბურთსა და ფრენბურთში, ფეხბურთსა და სპორტის სხვა სახეობებში.

მოეწყო დიდი სეირნობა, კარნავალი კოსტიუმებით, მასსობრივი თამაშობა და გართობანი. ქარხნის კლუბში გაიმართა ახალგაზრდების თვითმოქმედების დათვალიერება. გამარჯვებულ სპორტულ გუნდებს გადაეცათ ჯილდოები.

ქარხნის ახალგაზრდების ფესტივალი თებერვლამდე გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში აქ განხორციელდება მთელი რიგი მასობრივი ღონისძიებანი, მათ შორის ქარხნის ახალგაზრდების სპორტული ექსკურსია ბაკოში, ახალგაზრდების ცხოვრების ამსახველი კინოფოტოლენტების ფესტივალი, შეხვედრა ქარხნის მოწინავე ადამიანებთან, ახალგაზრდა ნოვატორების, მეგობრობის საღამოები და სხვა ბევრი სპორტული და კულტურული ღონისძიებანი.

• • •

სურათზე: 1. ფესტივალის მონაწილეთა პარადი; 2. კარნავალი პლეხანოვის სახელობის კლუბში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში

დნეპროპეტროვსკი, 26 ნოემბერი. **(საქდესის სპეც. კორ).** ხუთი ტურის შემდეგ გაიმართა დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება, რომელშიც ლ. ვოლპერტმა მოუგო ნ. ვოიცეკს, ხოლო ო. იგნატიევამ — მ. ტოგონიძეს. ყაიმით დამთავრდა ტ. კრიუკოვასა და ვ. ტიხომიროვას პარტია.

მეექვსე ტურში დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს ტურნირის ლიდერებმა. ლ. ვოლპერტმა მოუგო ტ. ზატულოვსკაიას და ვ. ტიხომიროვამ ზ. გორინას. ენერგიული თამაშით ე. კაკაბაძემ მოუგო ნ. კოლტოს, ხოლო ნ. ვოიცეკმა და ო. კაცკოვამ — ტ. კრიუკოვას და რ. ესტერკინას. ყაიმით დამთავრდა ლ. რუდენკო-კ. ზკორიკინას და ო. სემიონოვა-ნ. მატვეევას პარტიები.

ო. იგნატიევა-ნ. გაფრინდაშვილისა და ვ. ბორისენკო-მ. ტოგონიძის გადადებულ პარტიებში ქართველ მოჭადრაკეებს ცუდი პოზიციები აქვთ.

მეშვიდე ტურში ნ. გაფრინდაშვილმა, პირველი დამარცხება განიცადა ო. სემიონოვასთან პარტიაში. ცუდად ითამაშა ტურნირის ლიდერმაც ვ. ტიხომიროვამ, რომელსაც მოუგო ნ. ვოიცეკმა. დანარჩენ შეხვედრებში ლ. ვოლპერტმა მოუგო რ. ესტერკინას, ვ. ბორისენკომ — ო. მატვეევას, ნ. კოლტომ — ლ. რუდენკოს. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

ДНЕПРОПЕТРОВСКИ, 27 ნოემბერი. **(საქდესის სპეც. კორ.).** დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების დღეს, რომელიც მოეწყო მეშვიდე ტურის შემდეგ, ე. კაკაბაძემ ზუსტი თამაშით აიძულა ზ. გორინა დაეთმო პარტია. მ. ტოგონიძეს ორი დაუმთავრებელი პარტია ჰქონდა. ხანმოკლე წინააღმდეგობის შემდეგ მან წააგო ვ. ბორისენკოსთან, ხოლო პარტია ო. კაცკოვასთან ყაიმით დამთავრა.

ექვს საათს გაგრძელდა ნ. გაფრინდაშვილი-ო. იგნატიევას დაუმთავრებელი პარტიის გათამაშება, რომელიც კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

შვიდი ტურის შემდეგ ლ. ვოლპერტს აქვს 6 ქულა, კ. ზკორიკინას — 5 ქულა ექვსში, ვ. ტიხომიროვას და ვ. ბორისენკოს — ხუთ-ხუთი ქულა, ე. კაკაბაძეს — 4 ქულა.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ბავშვთა ზედა ტანსაცმლისა და მსუბუქი კაბების მრავალსახოვანი მოდელების გაფართოების, შეკერვის ხარისხისა და მხატვრული გაფორმების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1